პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი სამშაბათი 10 ივნისი № 133 (17776) ☐ ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ეს დღეები კახეთში

5, 6 და 7 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ მოიარა კახეთის რაიონები. მასთან ერთად იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, რესპუბლიკის მთელ რიგ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები.

საგარეჯოს რაიონში მათ დაათვალიერეს სოფელ პატარძეულის ახალი კულტურის სახლი, საგარეჯოს სამარკო ღვინოების ქარხანა, რომლის პირველი რიგი ამ ზაფხულს ჩადგება მწყობრში, ესაუბრნენ მანავის საბჭოთა მეურნეობის მევენახეებს.

შემდეგ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, ჯ. ი. პატიაშვილი, რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები გაემართნენ გურჯაანის რაიონის მაღალი მთის სოფელ ჭერემში. ოდესღაც მიტოვებული ჭერემი, ახლა აღორძინების გზას ადგება. ძველი სოფლის ადგილას შენდება ახალი, უკვე ჩანს ადმინისტრაციული და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობათა კონტურები. ჭერემის აღორძინება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის მიერ შემუშავებული საქართველოს მთის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიებების პრაქტიკული განხორციელებაა. თუმცა სოფლის განაშენიანება ფერხდება. სერიოზული საყვედურები გამოითქვა სამინისტროებისა და უწყებების მიმართ, რომლებიც არღვევენ ობიექტების ჩაბარების ვადებს, ნელი ტემპით აწარმოებენ სოფლის ეთილმოწყობას.

სიღნაღის რაიონში ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, ჯ. ი. პატიაშვილი იყვნენ სპორტული კომპლექსის მშენებლობაზე, რომელიც [illegible] ოლიმპიადა [illegible] ... კომპლექსში [illegible] ... [illegible] გაიმართა საუბარი ამ საგებობის მშენებლებთან. ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ გამოთქვა რწმენა, რომ ყველა სამუშაო შესრულდება მაღალხარისხოვნად და სოფლის სპორტსმენები ვადამდე მიიღებენ ჩინებულ საჩუქარს.

დაათვალიერეს აგრეთვე სიღნაღ-წნორის მშენებარე საჰაერო ბაგირგზა. წნორის ღვინის ქარხანა, რომელიც წელიწადში 20 ათას ტონა ყურძენს გადაამუშავებს და რომელიც მწყობრში ჩადგება რთველის დაწყებისათვის.

ახმეტის რაიონში ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე და ჯ. ი. პატიაშვილი ეწვივნენ მაღრაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს, რომლებმაც შეასრულეს ყურძნის წარმოებისა და დამზადების ხუთწლიანი გეგმა. საბჭოთა მეურნეობის მშრომელები დამკვრელური შრომით უპასუხებენ პარტიისა და მთავრობის ზრუნვას მევენახეობის განვითარებისათვის. აქ ჰექტარზე კრეფენ 110-120 ც. ყურძენს. მევენახეთა ამასწინანდელი რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების მიხედვით მაღრაანელებმა პირველი ადგილი დაიკავეს რაიონში. მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წელს სახელმწიფოს ჩააბაროს 4 ათასი ტონა ყურძენი დაგეგმილი 2.810 ტონის ნაცვლად.

სტუმრები იყვნენ აგრეთვე ლაგოდეხის, ყვარლისა და თელავის რაიონების მეურნეობებში, სადაც გაეცნენ ვენახებისა და ნათესების მდგომარეობას, საკვების დამზადების მიმდინარეობას.

ყვარლის რაიონში სტუმრებმა დაათვალიერეს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის საგამოფენო დარბაზი.

ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე გაეცნო სოფლის მშრომელთა ცხოვრების პირობებს, აღნიშნა ნაკლოვანებანი მოსახლეობის კულტურულ და სავაჭრო მომსახურებაში, დასახა მათი აღმოფხვრის პრაქტიკული ღონისძიებანი.

გაეცნო რა თელავის სახელმწიფო თეატრის მშენებლობის მდგომარეობას, რომელიც ჭიანურდება ზოგიერთი ორგანიზაციის მიზეზით, ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ დაავალა შესაბამის სამსახურებს დაჩქარონ სამუშაოთა ტემპი და ამ მნიშვნელოვანი ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემა.

7 ივნისს ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, ჯ. ი. პატიაშვილი და მეეხანეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა თელავის რესპუბლიკურ თათბირზე ჩამოსული ამხანაგები პ. გ. გილაშელი, ზ. ა. პატარიძე, ა. ნ. ინაური ეწვივნენ ყურძნის კრეფის პროცესს ხაშმის ალკოჰოლიზებული სისტემის მუშაობა. ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ დადებითად შეაფასა თელაველთა გამოცდილება, ხაზი გაუსვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლის კრეფის დროს პროგრესული მეთოდების გავრცელებას. მან აღნიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო დაიხვეწოს ეს ავტომატიზებული სისტემა, მომზადდეს შესაბამისი კვალიფიციური კადრები. კახელ მევენახეთა წინაშე დასახულია ამოცანა უკვე ამ სეზონში მოაწყონ მოსავლის კრეფა მართვის ავტომატიზებული სისტემის საშუალებით.

(საქინფორმი).

ე. ა. შევარდნაძე ესაუბრა ბრაზილიელ ჟურნალისტს

9 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ მიიღო საბჭოთა კავშირში ახალი ამბების საგენტოს მოწვევით ჩამოსული ბრაზილიის ერთ-ერთი უდიდესი გაზეთის „ფოლია დი სან-პაულოს“ სპეციალური კორესპონდენტი ა. სერკეირა ლიმა.

საუბრის დროს ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ უპასუხა კითხვებზე, რომლებიც ეხება აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებსა და საბჭოთა კავშირ-ბრაზილიის ურთიერთობას, სტუმარს გაუზიარა შთაბეჭდილებანი ბრაზილიაში ამასწინანდელი მოგზაურობის შესახებ, სადაც იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მეთაურად.

საუბარს დაესწრო ახალი ამბების საგენტოს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კ. ა. ხაჩატუროვი. (საქინფორმი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „მეტალურგიის, მანქანათმშენებლობისა და მშენებლობის სამინისტროების მუშაობა ლითონსაროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ლითონის ეფექტიანი გამოყენებისათვის მცირენარჩენიანი ტექნოლოგიის დანერგვის საფუძველზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნათა მიხედვით“.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ლითონის წარმოებისა და მრეწველობისა და მშენებლობაში მისი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება უპირველესი სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანაა. ლითონის წარმოების მასშტაბის განუწყვეტელი ზრდის მიუხედავად, მასზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი სრულად ვერ კმაყოფილდება. როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმზე, ეს იმის შედეგია, რომ მეტალურგიაში ნელა ხორციელდება ძირეული ოვისებრივი ცვლილებანი, ამორჩენა ახალი ტექნოლოგიური პროცესებიან დანერგვა ლითონის ბომბმრიელელ ძირითად დარგებში, შეუწყვარებლად დიდია ბევრი მანქანისა და სამშენებლო კონსტრუქციის ლითონტევადობა. აგრეთვე ლითონი გამოიყენება არადანიშნულებისამებრ, არადამაკმაყოფილებელია მისი დაცვა-შენახვა, არის განიავების შეფხვეგები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ასეთი მდგომარეობის იმის შედეგია, რომ შავი და ფერადი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობისა და მშენებლობის სამინისტროების ხელმძღვანელები, ამ სამინისტროების კოლეგიები საკმარის პასუხისმგებლობას არ აჩენენ ტექნიკურ დონეზე ლითონსაროდუქციის წარმოების განვითარების, ლითონის ეფექტიანი და მომჭირნედ გამოყენების შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებების შესრულებისათვის. მანქანათმშენებლები, მეტალურგები და მშენებლები ცუდად ათანხმებენ და ნელა ახორციელებენ დიდმწარმოებლური მოწყობილობის, პროგრესული ლითონსროდუქციის შექმნის, წარმოებაში მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის ერთობლივ ღონისძიებებს, სუსტად აკავშირებენ ლითონის რაციონალური გამოყენების სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოებს. საჭირო ზრუნვას არ იჩენენ ამ საქმეში ავტომობილების, სამშენებლო-საწნეხ მანქანების, ექსკავატორებსა და სხვა ტექნიკას. სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს, სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს, ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროებისა და სხვა სამინისტროების ხელმძღვანელები ურიგდებიან ასეთ მდგომარეობას, არ აძლიერებენ მეთაური სამეცნიერო-კვლევითი, ტექნოლოგიური და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების, ახალი ტექნიკის შემმუშავებელთა პასუხისმგებლობას მანქანა-მოწყობილობის ოპტიმალური ლითონტევადობის მიღწევისათვის. ამასთანავე ბევრი ინსტიტუტი და საწარმო შემოქმედებითად უდგება ლითონის დაზოგვის ამოცანის გადაწყვეტას და კარგ შედეგებსაც აღწევს. საბჭოთა კავშირის მეტალურგიული მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის მეცნიერებმა ურალის მანქანათსაშენებელი ქარხნის, ნოვოკრომატორსკის, ყადანოვის, ჩერეპოვეცის მეტალურგიული და სხვა ქარხნების კონსტრუქტორებთან თანამეგობრობით ბევრი დიდი მანქანისა და აგრეგატის წონა საგრძნობლად შეამცირეს.

მანქანათსაშენებელ ქარხნებში ნელა ინერგება თანამედროვე მცირენარჩენიანი ტექნოლოგია, დეტალების გასალების პროცესები, რაც არსებითად ლითონის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების მთავარი რეზერვია. ამის მეოხებით მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში ლითონის გამოყენების კოეფიციენტი დიდი ხანია არ გაზრდილა. საკმარისი მოცულობით არ იყენებენ პროგრესული შენადუღ ლითონკონსტრუქციებს. ჯეროვნად არ უმჯობესდება საყალიბო მოწყობილობის წარმოება. ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტრო, მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო მცირე რაოდენობით უშვებენ აგრეგატებს, რომლებიც ხელს უწყობენ პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვას.

მშენებლობის სამინისტროები, რომლებიც ლითონსროდუქციის უდიდესი მომხმარებლები არიან, საჭირო ღონისძიებებს არ ახორციელებენ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ლითონის რესურსების უფრო აყარათანანი გამოყენებისათვის. სამშენებლო ობიექტების დაპროექტებისას ნელა ინერგება ლითონის ხარჯვის პროგრესული ნორმები, ხშირად იყენებენ დაუსაბუთებლად გადიდებულ სიმტკიცის მარაგს. სსრ კავშირის სახმშენის მეთაური ინსტიტუტები დიდხნობით არ გადასინჯავენ ხოლმე სამრეწველო შენობათა და ნაგებობათა პროექტებს, არ შეიკვეთ მათში თანამედროვე ტექნიკური გადაწყვეტილებანი, რომლებსაც საფუძვლად უდევს მაღალი საექსპლოატაციო თვისებების მქონე შემსუბუქებული კონსტრუქციებისა და პროფილების გამოყენება. ბევრ მშენებლობაზე აყარათანანად არ ეკიდებიან ლითონს, ცუდადაა ორგანიზებული მისი დასაწყობება და შენახვა, ლითონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციები იჟანგება, ფუჭდება.

შავი, ფერადი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობისა და მშენებლობის დარგობრივი ინსტიტუტები საჭირო აქტიურობას არ იჩენენ ლითონის დაზოგვის დამატებითი რეზერვების გამოძებნისათვის. სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია საკმარის კოორდინაციას არ უწევენ ამ დარგში ფუნდამენტური და დარგობრივი მეცნიერების ინსტიტუტების საქმიანობას.

შავი, ფერადი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობისა და მშენებლობის ბევრი გაერთიანების, საწარმოს, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების პარტიული ორგანიზაციები სუსტად უწევენ კონტროლს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს ლითონის ყაირათიანი გამოყენების საკითხებზე, მაღალი მომთხოვნელობით არ ეკიდებიან სამეურნეო ორგანოებს იმ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ მის რაციონალურ გამოყენებას, თანამედროვე პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვას. ეს საკითხები ეშვიათად ხდება საწარმოო კოლეგიების საგანი, საკმარისად კონკრეტულად არ აისახება სოციალისტურ ვალდებულებებში. შავი, ფერადი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობისა და მშენებლობის სამინისტროების პარტკომები ყოველდღიურ მუშაობაში ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სამინისტროების ცენტრალური აპარატის მუშაკთა დარაზმვას ლითონის წარმოებისა და მოხმარების პროცესში მის მომჭირნედ ხარჯვის ამოცანების გადასაწყვეტად.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ლითონის მომჭირნედ ხარჯვა, მისი დაზოგვის არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების სრული გამოყენება საერთო-პარტიული, საყოველთაო-სახალხო საქმეა. ლითონის დაზოგვისათვის ბრძოლა მუდამ უნდა იყოს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოცემული მითითებებით, რომ საჭიროა მკვეთრად გაძლიერდეს ლითონის დაზოგვის, მის წარმოებასა და დამუშავებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების სამუშაოები, შავი, ფერადი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობისა და მშენებლობის სამინისტროთა კოლეგიებმა და პირადად მინისტრებმა ძირეულად უნდა გარდაქმნან მთელი მუშაობა ამ საკითხებზე პარტიის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით. აამაღლონ გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისათვის, ლითონსაროდუქციის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის, მისი სორტამენტის გაფართოებისათვის, მანქანების, მოწყობილობის, სამშენებლო კონსტრუქციების ლითონტევადობის შემცირებისათვის.

მანქანათმშენებლობის, შავი, ფერადი მეტალურგიისა და მშენებლობის სამინისტროების, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალენი არიან მნიშვნელოვნად გააძლიერონ ლითონსროდუქციის უფრო რაციონალური გამოყენებისათვის მუშაობა ერთობლივი დარგთშორისი კომპლექსური გეგმების საფუძველზე, რათა დაგეგმილ ღონისძიებათა განხორციელებამ დადებითი შედეგები მოგვცეს უკვე მომდინარე წელს და შექმნას მომავალ ხუთწლედში ლითონის ხარჯვის მკვეთრი შემცირების ბაზა. დასაბონდა თანამიმდევრულად განახორციელონ წარმოების დროს ვარგისი ლითონსროდუქციის გამოსავლიანობის გადიდების პროგრამა, უფრო სრულად გამოიყენონ ისეთი ეფექტიანი პროცესები, როგორიცაა ლითონნების გასალობა, ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმა, ფხვნილთა მეტალურგია და სხვ. გაადიდონ თანამედროვე სახეობის მეტალურგიული, სამჭედლო-საწნეხი და სამსხმელო მოწყობილობის, ზუსტი ნამზადების საგლინავი სპეციალური დგანების გამოშვება. თითოეული სახეობის პროგრესულ ტექნოლოგიური პროცესები და მანქანა მოწყობილობის კონსტრუქციები დროულად დანერგონ წარმოებაში და კონტროლი გაუწიონ მათი დანერგვის ვადებს. დღეინადგ შეისწავლონ, განაზოგადონ და გაავრცელონ ლითონის დაზოგვის დადებითი გამოცდილება, მათ შორის ჩელიაბინსკის სოფლის პარტიული ორგანიზაციის, მოსკოვის ა. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის (საწარმოო გაერთიანება „ზილის“), მრეწველობის სხვა დარგების საწარმოთა გამოცდილება ზუსტი ნამზადებისა და მზა დეტალების დამზადებისას მცირენარჩენიანი ტექნოლოგიის დანერგვის შესახებ, განახორციელონ წარმოების მიზანმიმართული მოდერნიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის ერთეულზე ლითონის რეალურ დაზოგვას. ყოველნაირად დაუჭირონ მხარი და გააფართოონ შემოქმედებითი თანამეგობრობის გამოცდილება შემკვეთი საწარმოებისა და ლითონის მომწოდებელთა — ჩერეპოვეცისა და ჩელიაბინსკის ქარხნების, მაგნიტოგორსკისა და ყარაღანდის კომბინატების, ლენინგრადის გაერთიანება „კრასნი ვიბორჟეცის“ უშუალო ხანგრძლივი კავშირის საფუძველზე კამის საავტომობილო გაერთიანებასთან, ვოლგოგრადის სატრაქტორო ქარხანასთან, ლენინგრადის „ელექტროსილასთან“ და სხვა საწარმოებთან, რათა უზრუნველყონ წარმოებაში ლითონის ხარჯვისა და შრომის დანახარჯების მნიშვნელოვანი შემცირება. მთავარი ყურადღება დაუთმონ ლითონის დაზოგვის რეზერვების გამოყენებას, რაც არ მოითხოვს დიდ კაპიტალურ დაბანდებას. ლითონის მზარდი სიმტკიცის, მახასიათებლების, დაპრიოქტებისა და კონსტრუირების არსებული დადებითი გამოცდილების გათვალისწინებით მოაწყონ მუშაობა, რათა გადასინჯონ და დააზუსტონ მანქანებისა და ლითონკონსტრუქციების გაანგარიშების მოქმედი ნორმები და წესები; დასაშვები დაძაბვისა და სიმტკიცის მარაგის მოთხოვნები იმ მიზნით, რომ გამოირიცხოს გაუმართლებელი ზედმეტი ლითონ-ტევადობა.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმშენმა, სახსტანდარტთან ერთად უნდა გადასინჯონ მანქანათსაშენებელი და მშენებლობის სამინისტროების მიერ ლითონისა და ნამზადების მოხმარების მიღწეული დონის მიხედვით დაგეგმვის არსებული პრაქტიკა, განსაზღვრონ მათი ფაქტობრივი მოთხოვნილება ნაწარმის ლითონტევადობის შემცირებისა და მაცირენარჩენიანი ტექნოლოგიის დანერგვის გათვალისწინებით. 1981 წლიდან შავი ლითონების ნაგლინის ხარჯვის ნორმების საშუალო შემცირების დავალებებთან ერთად დააწესონ აგრეთვე ლითონის საერთო ხვედრითი ხარჯვის, ნატურალური მაჩვენებლებით კონკრეტულ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის ლითონტევადობის შემცირების, ლითონის გამოყენების კოეფიციენტის ამაღლების დავალებანი.

ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზი გაუსვა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ლითონის დაზოგვის ღონისძიებათა დაუყოვნებლივ შემოშვებას, რათა ისინი გათვალისწინებულ იქნას 1981-1985 წლების გეგმის პროექტში. ამასთან გაითვალისწინონ იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიურ სახეობათა ლითონპროდუქციის ხარისხის ძირეულ გაუმჯობესებასა და წარმოების გადიდებასთან, ლითონის ნარჩენების მნიშვნელოვან შემცირებასთან, მეტალურგიისა და ლითონდამუშავებისათვის პროგრესული მოწყობილობის შექმნასა და გამოშვებასთან, ლითონპროდუქციასა და მანქანებზე სტანდარტების როლის ამაღლებასთან, პროდუქციის, მანქანებისა და მექანიზმების შეფასების ეფექტიანი კრიტერიუმების გამოყენებასთან, აგრეთვე სხვა საკითხები, რომლებიც მიზნად ისახავენ ლითონის ყოველმხრივ დაზოგვას.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმომარაგებას შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად დაეკვალათ სამი თვის ვადაში მოამზადონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინონ წინადადებანი ლითონის რაციონალური ხარჯვისადმი სახელმწიფო კონტროლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც ითვალისწინებენ მკაცრ მატერიალურ და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას მისი ხარჯვის ნორმების გადამტებისათვის, ნაწარმის ლითონტევადობის შემცირების დავალებების შეუსრულებლობისა და ლითონსპრიდუქციის გამოყენებისადმი უყაირათო დამოკიდებულებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო და საქალაქო კომიტეტებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ მომთხოვნელობა სამინისტროების, გაერთიანებების, საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტკომიტეთა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბიუროების მიმართ იმ კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებისათვის, რომლებიც გულისხმობენ ლითონის ხარჯვის ნორმების შემცირებასა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვას, ამ საქმეში მოწინავე გამოცდილების გავრცელებას. გააძლიერონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა შრომითი კოლექტივების დასარაზმავად ლითონპროდუქციის მომჭირნე და ეფექტიანი გამოყენებისათვის. ჩაბაბან ამ საქმეში მეცნიერები, რაციონალიზატორთა, გამომგონებელთა და წარმოების ნოვატორთა ფართო აქტივი, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, ამასთან უფრო სრულად გამოიყენონ სოციალისტური შეჯიბრების ყველა ფორმა.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტმა უნდა გაამკაცროს კონტროლი იმისადმი, რომ სამინისტროებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა დაიცვან სახელმწიფო და საგეგმო დისციპლინა ლითონის ხარჯვაში მისი წარმოებისა და მოხმარების ყველა ეტაპზე. გამოავლინონ და გადაჭრით აღკვეთონ ლითონპროდუქციის შენახვისა და გამოყენებისადმი უყაირათო დამოკიდებულების ფაქტები.

გაზეთების „პრავდის“, „იზვესტიის“, „ეკონომიჩესკაია გაზეტას“, „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიას“, „ტრუდის“, „სტროიტელნაია გაზეტას“ რედაქციებს დავალათ სისტემატურად გააშუქონ შავი, ფერადი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობისა და მშენებლობის სამეცნიერო, საპროექტო ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშაობის მოწინავე გამოცდილება ლითონის წარმოებისა და გამოყენების იმ პროგრესული მეთოდების შემუშავებასა და დანერგვაში, რომლებიც უზრუნველყოფენ მის არსებით დაზოგვას.

ფრენა წარმაჯებით დამთავრდა

საკოდესის ცნობა

1980 წლის 9 ივნისს „სოიუზ ტ-2“ ხომალდის გამოსაცდელი ფრენის პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ კოსმონავტები ამხანაგები იური ვასილის ძე მალიშევი და ვლადიმერ ვიქტორის ძე აქსიონოვი დედამიწაზე დაბრუნდნენ.

კოსმონავტები ამხანაგები პოპოვი და რიუმინი განაგრძობენ მუშაობას „სალუტ-6“ — „სოიუზ-36“ ორბიტულ კომპლექსში.

„სოიუზ ტ-2“ ხომალდის დასაშვები აპარატურით დედამიწაზე ჩამოტანილია გამოცდების მასალები, გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების შედეგები, რომლებიც „სალუტ-6“ სადგურსა და „სოიუზ ტ-2“ ხომალდში შესრულდა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1980 წლის 6 ივნისს 70 წლისა გარდაიცვალა თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რუსეთის სფსრ და საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი

ელიზბარ ონანიძის ძე მენდელი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

დავლამქროთ მეათე ხუთწლედის მიჯნები, ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXVI ყრილობას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურ შეკრებაზე თელავში 1980 წლის 7 ივნისს

ამხანაგებო!

დღეს აქ, საქართველოს მარგალიტის — კახეთის მუგაღუში — თელავში, ხატოვნად რომ ვთქვათ, ქართული ვაზის, ქართული მევენახეობის დედაქალაქში, დიდი და საქმიანი სჯა-ბაასი მიმდინარეობს იმ აქტუალურ, მეტად ძნელ და რთულ ამოცანებზე, რომლებიც დგას რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის წინაშე, კერძოდ, მევენახეთა და მეღვინეთა წინაშე მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, იმ ამოცანებზე, რომელთა გადაჭრაზე დიდად არის დამოკიდებული თვით მეათე ხუთწლედის ბედი.

მოგეხსენებათ, საქართველოს რესპუბლიკას, ზოგიერთ სხვა მოძმე რესპუბლიკასთან ერთად, მეათე ხუთწლიანი გეგმის შესრულების რეალური პერსპექტივა აქვს.

როგორც ცნობილია, საქართველოს კომპარტიამ საკმაოდ დიდი გამოცდილება შეიძინა პარტიის თბილისის კომიტეტის, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, რესპუბლიკის ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების, რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების შესახებ და სხვა პრობლემებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ ამ-ხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით მიღებული ცნობილი დადგენილებების განხორციელებისათვის ბრძოლის პროცესში.

გამოცდილება დაგროვდა არა მარტო პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის, არამედ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ყველა რგოლში, ყველა სფეროში, მათ შორის სოფლის მეურნეობაში, კვების მრეწველობაში, მევენახეობაში, მეღვინეობაში.

ამოცანა ის არის, რომ ეფექტიანად გამოვიყენოთ ეს გამოცდილება რეზერვების მაქსიმალური მობილიზაციის, წესრიგისა და ორგანიზაციის უმაღლესი ეტალონების საფუძველზე იმ მიზნით, რომ გავზარდოთ რესპუბლიკის წვლილი საერთო-საკავშირო დოვლათში, ხოლო მევენახეთა და მეღვინეთა წვლილი — რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლისა და ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდაში.

ეს არის თავამოცანა, საკითხთა საკითხი დღევანდელი ჩვენი შეკრებისა და არა მარტო ამ შეკრებისა, არა მარტო ამ წლისა და ამ ხუთწლედისა. ეს ჩვენი შორს გამიზნული ეკონომიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია, შეიძლება ითქვას, მისი ბირთვია.

გადავაქციოთ საქართველო მევენახეობასა და მეღვინეობაში საბჭოური და მსოფლიო სტანდარტების, მსოფლიო ეტალონების რესპუბლიკად, უმაღლესი ხარისხის ღვინოების, კონიაკის და შამპანურის წარმოების რესპუბლიკად! — ასეთია ჩვენი მთავარი, სტრატეგიული ამოცანა მეღვინეობა-მევენახეობის დარგში.

ეს ამოცანა სავსებით რეალურია. იგი მეცნიერულ ანალიზს ემყარება და მისი განხორციელება მოამზადებს ახალ ეტაპს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ისტორიაში, საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის შემდგომი ინტენსიური განვითარების კომპლექსური პროგრამის განხორციელებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნდათ და კვლავ მიაჩნიათ, რომ მევენახეობისა და ღვინის მრეწველობის განვითარების პრობლემები მუდამ უნდა იყოს ყურადღების ცენტრში არა მარტო იმიტომ, რომ ეს დარგები უძველესი და ტრადიციულია ჩვენში, რომ ქართველ მეზვრეთა მიერ შექმნილია, როგორც აქ ამხანაგებმა თქვეს, 500-ზე მეტი ჯიშის ვაზი, რომ ქართველმა მეღვინეებმა შეიმუშავეს ღვინის წარმოების ორიგინალური, სრულყოფილი ტექნოლოგია, არამედ იმიტომაც, რომ მათს ოპტიმალურ განვითარებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ზრდის ტემპი.

აი რატომ არის, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო უკანასკნელ წლებში ყურადღებას არ აკლებენ მევენახეობისა და ღვინის მრეწველობის შემდგომ განვითარებასა და აღორძინებას. თქვენთვის ცნობილია, თუ რა ყურადღება დაეთმო ამ დარგს საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის IX და XI პლენუმებზე, პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე და მთელ რიგ სპეციალურ დადგენილებებში.

ასეთი ღონისძიებების მიღება იმითაც იყო განპირობებული, რომ ერთხანს რესპუბლიკაში შენელდა ყურადღება მევენახეობის განვითარებისადმი, რის შედეგადაც დაიწყო ამ დარგის დაქვეითება. ამის ნათელსაყოფად შეიძლება მოვიყვანოთ სულ რამდენიმე მაგალითი, თუ მერვე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში საშუალოდ ყოველწლიურად წარმოებულ იქნა 436 ათასი ტონა ყურძენი, მეცხრე ხუთწლედში ამ მაჩვენებელმა მთლიანად 429 ათასი ტონა შეადგინა, ხოლო 1972 წელს იგი, შეიძლება ითქვას, კატასტროფულ დონემდე — 258 ათას ტონამდე შემცირდა.

დავღალჭიროთ მეათე ხუთწლედის მიჯნები, ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXVI ყრილობას!

(გაგრძელება)

შექმნილი ვითარება მოითხოვდა მევენახეობის შემდგომ განვითარებაში საგრძნობი გარდატეხის შეტანას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სხვა დაინტერესებულო სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის სამეცნიერო ცენტრებმა, პარტიის რაიკომებმა, რაიაღმასკომებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიის თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ ცნობილი დადგენილების შემდეგ კარდინალური ღონისძიებანი განახორციელეს რესპუბლიკაში მევენახეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

როგორც მოგეხსენებათ, მევენახეობის განვითარების პრობლემების გადაწყვეტა ჩვენ ნერგის წარმოების სწრაფი გადიდებით დავიწყეთ. ჩვენი აზრით, ეს მთავარი საკითხი, არსებითი საკითხი იყო. უკვე 1973 წლის 16 ოქტომბერს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიიღო დადგენილება ვაზის ნერგის წარმოების სამრეწველო საფუძველზე გადაყვანის შესახებ. დაუყოვნებლივ დავიწყეთ ელექტროსტრატიფიკატორების მშენებლობა, იმავე პერიოდში შევუდექით ვაზის სამყნობი მანქანების დანერგვას წარმოებაში და 2-3 წელიწადში შევქმენით კიდეც მტკიცე ბაზა ვაზის ნერგის წარმოების გასაადიდებლად. ვფიქრობ, ამ საკითხებზე აქ საკმაოდ ადმაჯერებლად ილაპარაკა ამხანაგმა ნ. ჩხოლარიამ.

1974 წელს რესპუბლიკაში პირველად შეიქმნა ხეხილის ბაღებისა და ვენახების საპროექტო ინსტიტუტი — „საქბაღვენახპროექტი“, რომელსაც დაევალა ვენახების გაშენების პირობების შესწავლა მეცნიერულ საფუძვლებზე და სათანადო საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავება.

უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რა დასავლეთ საქართველოში მევენახეობის განვითარების საქმეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ 1977 წლის 25 ივნვარს სპეციალური დადგენილება მიიღეს ამ საკითხზე.

ამავე პერიოდში დაიწყო გადამმუშავებელი მრეწველობის ინტენსიური განვითარებაც. და ბოლოს, შარშან გადაწყდა ყურძნის შესასყიდი ფასების გადიდება.

ამ დადგენილებებმა საფუძველი ჩაუყარა მევენახეობის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამის შემუშავებას, მის ეკონომიკურ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას; შეიქმნა დარგის განვითარების მწყობრი კომპლექსური სისტემა.

უკანასკნელ წლებში ჩვენ არაერთხელ შევკრებილვართ, რათა გვიმსჯელა მევენახეობის განვითარების, ყურძნის დამზადების გეგმების შესრულებისა თუ სხვა ცალკეულ საკითხებზე, მაგრამ ამომწურავი, ყოველმხრივი მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რა პრობლემები გადაწყდა მევენახეობისა და ღვინის მრეწველობის განვითარების საქმეში, რას ვერ მივაღწიეთ დასახული გეგმებიდან და რა გზით უნდა განვითარდეს ეს დარგები მომავალში, დამერწმუნებინთ, არ გვქონია. სწორედ ამიტომ შევიკრიბეთ დღეს აქ, მევენახეთა ამ ტრადიციულ რეგიონში, რომ განვიხილოთ ყველა ეს საკითხი.

დღევანდელ შეკრებაზე მთავარი, მოხსენების ნაცვლად წარმოდგენილი იყო საინფორმაციო-დოკუმენტური ფილმი მევენახეობის მდგომარეობაზე, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით შეიქმნა.

ვფიქრობთ, ეს საინტერესო წამოწყებაა, და ეს სიახლე მომავალში, ალბათ, უფრო გაბედულად უნდა დაინერგოს ჩვენი მუშაობის პრაქტიკაში. მე მხედველობაში მაქვს რესპუბლიკური თათბირები, თვით ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომებიც, დარგების მიერ ჩატარებული ღონისძიებები და ასე შემდეგ. ალბათ, ძალიან კარგი იქნებოდა, თუ ამ ფილმს ვიჩვენებდით ტელევიზიის მეშვეობით და ყველა თავის თავს დაინახავდა. რაიკომის მდივნებს არ მოსწონთ ეს აზრი, მაგრამ მაინც უნდა მოვიქცეთ ასეთნაირად (რეპლიკა დარბაზიდან: არ შეიძლება ახალი რომ გადავიღოთ?). ახალი რომ გადავიღოთ?! ვეტყვით. თქვენც, ჩვენც, სამწუხაროდ, ისე დაგვჩემდა, ისე შეეჩვია ჩვენი თვალი ნაკლოვანებებს, ახალი დღეს კი არა, ერთი თვის შემდეგ რომ გადავიღოთ, დარწმუნებული ვარ, ცოტა მეტ ნაკლოვანებებსაც აღმოვაჩენთ, ვიდრე ამ ფილმშია ნაჩვენები. აი, ასე ხდება ხოლმე.

ფილმის წყალობით, ჩვენ, ამ შეკრების მონაწილენი, თითქოს მევენახეობა-მეღვინეობის პირუთვნელი რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის უშუალო მონაწილენი ვიყავით.

ეს ფილმი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. შ. ეცადაშვილის, მეღვინეობის რესპუბლიკური გაერთიანების „სამტრესტის“ მმართველის ამხ. გ. ლოლაძის ინფორმაციები და სხვა აქ გამოსული ამხანაგების მოსაზრებები საკმაოდ სრულ წარმოდგენას იძლევა საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის დღევანდელ მდგომარეობაზე.

მართალია, აქ წარმოდგენილ საინფორმაციო-დოკუმენტურ ფილმში, აქ მოსმენილ ინფორმაციებში საკმაოდ ბევრი კრიტიკაა, მაგრამ ეს იმისათვის, რომ მომავალში არ გავიმეოროთ შეცდომები, რომლებიც გვაქვს პრაქტიკაში.

ისე კი, თუ გულახდილი ვიქნებით, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი მიღწევები, რომლებიც უკანასკნელი წლების მანძილზე იქნა მოპოვებული ჩვენი სახელოვანი მევენახეების თავდადებული შრომის შედეგად. დავიწყოთ, თუ გნებავთ, იმავე ვაზის ნერგის წარმოებით. თუ 1972 წელს რესპუბლიკა 16 მილიონ ცალ ნამყენ ნერგს აწარმოებდა, გასულ წელს ეს მაჩვენებელი 34 მილიონ ცალამდე გაიზარდა და, როგორც თავის გამოსვლაში ამხ. ნ. ჩხოლარიამ აღნიშნა, ვენახების გასაშენებლად და მეჩხერიანობის სალიკვიდაციოდ ნერგების წარმოების პრობლემა უკვე გადაწყვეტილია. უნდა გითხრათ, რომ ეს ერთობ დიდი მიღწევაა. ამან ჩვენ საშუალება მოგვცა უკანასკნელ 5 წელიწადში გაგვეშენებინა 39 ათას ჰექტარამდე ვენახი და საზოგადოებრივი ზვრების საერთო ფართობი 90 ათას ჰექტარამდე გაგვიდიდებინა, ამასთან მეჩხერიანობის სალიკვიდაციოდ გამოგვეყო 20 მილიონი ნერგი და მეჩხერიანობაც 21,8 პროცენტიდან 15,8 პროცენტამდე შეგვემცირებინა.

აღსანიშნავია, რომ ვენახების გაშენება ძირითადად ხორციელდება სპეციალურ მეურნეობებში, მიწის დიდ მასივებზე „საქბაღვენახპროექტის“ მიერ შედგენილი პროექტების მიხედვით, რითაც ძირითადად თავიდან იქნა აცილებული წარსულ წლებში დაშვებული შეცდომები ვენახების გაშენების საქმეში. ახალგაზრდა ვენახების მსხმოიარობაში შესვლამ და მეჩხერიანობის შემცირებამ ხელი შეუწყო ყურძნის მოსავლიანობისა და საერთო მოსავლის გადიდებას. 1979 წელს ყურძნის საშუალო მოსავლიანობამ შეადგინა 72,5 ცენტნერი, ნაცვლად 28 ცენტნერისა 1972 წელს და 57 ცენტნერისა 1975 წელს.

მეათე ხუთწლედის განვლილ პერიოდში ყურძნის საშუალო წლიურმა წარმოებამ 648 ათას ტონას მიაღწია, რაც მეცხრე ხუთწლედის შესაბამის მაჩვენებელს 1,5-ჯერ აღემატება. ლაპარაკია წარმოებაზე და არა შესყიდვაზე.

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ქართველმა მევენახეებმა სახელმწიფოს 1.851 ათასი ტონა ყურძენი მიჰყიდეს. ამდენივე ყურძნის დამზადებას წინა პერიოდში რვა წელიწადი დასჭირდა.

განსაკუთრებით დიდი წარმატებებით აღინიშნა გასული წელი რესპუბლიკის მევენახეებისათვის. მათ რეკორდული მოსავალი მოიწიეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 577 ათასი ტონა ყურძენი, ნაცვლად დადგენილი 575 ათასი ტონისა.

ახმეტის რაიონმა სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 10711 ტონა ყურძენი მიჰყიდა, თელავის რაიონმა — 4919 ტონა, სიღნაღისამ — 4222 ტონა, ლაგოდეხის რაიონმა — 2245 ტონა, საგარეჯოს რაიონმა — 3122 ტონა, ყვარლის რაიონმა — 1475 ტონა, ჩოხატაურის რაიონმა — 723 ტონა. ქების ღირსნი არიან აგრეთვე ბოლნისის, თერჯოლის, ამბროლაურის რაიონები. ყურძნის საერთო წარმოებაში დიდია მევენახეობის წამყვანი რაიონის — გურჯაანის წვლილი. გვერდს ვერ ავუვლით გუდაუთის რაიონის მევენახეთა წვლილსაც.

ამ საერთო წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს და ყურძნის უხვი მოსავალი მოიწიეს ახმეტის რაიონის ოქიოს, ქისტაურის, მატნის, ზემო ხოდაშნის საბჭოთა მეურნეობებმა, სიღნაღის რაიონის ძველი ანაგისა და ტიბაანის კოლმეურნეობებმა, თელავის რაიონის კისისხევის, შალაურის საბჭოთა მეურნეობებმა და სანიორის კოლმეურნეობამ, ყვარლის რაიონის მთისძირის სანერგე საბჭოთა მეურნეობამ, ლაგოდეხის რაიონის ჭაბუკიანისა და ფეხნის კოლმეურნეობებმა, საგარეჯოს რაიონის მანავისა და საგარეჯოს, მარნეულის რაიონის ყულარის, ბოლნისის საბჭოთა მეურნეობებმა, ზესტაფონის რაიონის ფუთის, კლდეეთის, მაიაკოვსკის რაიონის დაბა მაიაკოვსკის და სხვა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

როგორც ხედავთ, მევენახეობის განვითარების საქმეში საკმაო მიღწევებია მოპოვებული. ეს შედეგები, რა თქმა უნდა, თავისით არ მოსულა, ამაში საქართველოს მკლავმოუღლელ მევენახეთა უანგარო შრომაა ჩაქსოვილი, მათი ალალი ოფლია ჩაღვრილი.

ყურძნის რეკორდული მოსავალი მოიწიეს მევენახეობის ცალკეულმა ბრიგადებმა და მევენახეებმა. მოწინავეებიდან უნდა დავასახელოთ თელავის რაიონის სანიორის კოლმეურნეობიდან — გედევან ძებისაშვილი, სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობის მევენახე შოთა ღვედაშვილი, ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობიდან — ნიკოლოზ ჩაჩაური, გურჯაანის რაიონის სოფელ არაშენდის კოლმეურნეობიდან — ამირან ჯიქურაშვილი, ზესტაფონის რაიონის კლდეეთის კოლმეურნეობიდან — შოთა წითელაშვილი და ზალიკო დუგლაძე, ამავე რაიონის ფუთის კოლმეურნეობიდან — შალვა სირაძე, შუახვის რაიონის სოფელ ჭვანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობიდან — ნათელა ამაღლობელი და სხვები.

როცა მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის ჩატარება გადავწყვიტეთ, იქვე ითქვა, რომ განხორციელებულია წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები სამაგალითო კვალიფიციური სპეციალისტებისა და რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოების მონაწილეობით.

ვენახების რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარებაში მონაწილეობა მიიღეს სამინისტროებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მუშაკებმა. თათბირის მომზადებაში აქტიური წვლილი შეიტანეს ჩვენი პრესის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტების მუშაკებმა და ა. შ.

ყოველივე ამან და ბევრმა სხვა ფაქტორმა განაპირობა, რომ ჩვენი თათბირი საქმიან ვითარებაში მიმდინარეობს. ამხანაგები ძირითადად სწორად აფასებენ შექმნილ მდგომარეობას და სწორად ესმით მევენახეთა ამოცანების სირთულე.

მინდა პირველ რიგში შევეხო მიმდინარე წლის ამოცანებს. ზოგიერთ თქვენხანს, ალბათ, ახსოვს, როცა მიმდინარე წლის მარტში ჩვენს რესპუბლიკას მეშვიდედ ჩაბარეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, ჩვენ გავაცხადეთ, რომ რესპუბლიკას შეუძლია იბრძოლოს და კიდევაც უნდა იბრძოლოს ყურძნის დამზადების ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის.

ეს არ იყო ღრმა ანალიზის გარეშე ნათქვამი ფრაზა, ან პარადული ხმაურისათვის გამიზნული ლოზუნგი. ჩვენ ძალიან კარგად გვესმოდა, რომ ასეთი ამოცანის გადაწყვეტა მეტად ძნელია, რომ მიზნის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ძალების ჯერ არნახული, მაქსიმალური დაძაბვით.

გასული წლის ფაქტობრივ დონესთან შედარებით მიმდინარე წლის გეგმა 75 ათასი ტონით არის გაზრდილი. ეს მეტად ძნელი მიჯნაა, მაგრამ მევენახეობაში ხუთწლედის შესრულების ინტერესები მოითხოვს ამ გეგმის გადამეტებით 120 ათასი ტონა ყურძნის დამზადებას.

ჩვენს მასპინძლებს ამ მიჯნის დაძლევა რეალურ ამოცანად ესახებათ, უკვე გამოუკრავთ ასეთი ლოზუნგები. გარწმუნებთ, რომ ჩვენთან თათბირი არ ჰქონიათ, ისე გამოაკრეს ეს ლოზუნგი: 770 ათასი ტონა — და თუ არ გვინდა თელაველებს ვუღალატოთ, — ესენი ჩვენი მასპინძლები არიან და ჩვენც ამ მიწაზე ვიმყოფებთ, — ამ ლოზუნგის შესრულებისათვის თავდადებით უნდა ვიბრძოლოთ!

ამასთან არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ „სამტრესტის“ ახალი მმართველის ამხანაგ გ. ლოლაძის სურვილსაც, რომელიც 770 ათასი ტონა ყურძნის მისაღებად ემზადება! თუ ამოცანის ფორმირებაზეა ლაპარაკი, მე მგონი, ასე შეგვეძლო დაგვაყენებინა საკითხი: რისთვის ვიბრძოლოთ? არის გეგმა, გეგმა კი კანონია. მე მგონია, დღეს არავინ არ დავობს იმაზე, რომ უნდა შესრულდეს გეგმა და ის ვალდებულებაც, რომელიც წლის დამდეგს ვიკისრეთ! მაგრამ დღეიდან არსებობს დამატებითი ვალდებულებაც, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში ხუთწლედის შესრულების ამოცანებიდან და ამ ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში დღეს არსებული კონკრეტული ვითარებიდან, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარეობს. ჩემი აზრით, 720 ათასი ტონა ყურძენი — ეს სავსებით რეალური ამოცანაა! თვით 770 ათასი ტონაც კი, თუ კარგად ვიმუშავებთ და მოსახლეობაც აქტიურად დაგვიჭერს მხარს, რეალური მიჯნაა!

ხუთწლედის დავალების განაღდება მევენახეობისა და ღვინის მრეწველობის დარგში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა პატივისა და ღირსების საქმეა, და ეს დავალება უთუოდ უნდა შესრულდეს!

ვენახების რესპუბლიკური დათვალიერების მასალები მოწმობს, რომ წელს საქართველოში არნახული რთველი გვექნება. მე ამ დღეებში პირადადაც გახლდთ დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოშიც, ქართლ-კახეთის რაიონებში, და უნდა მოგახსენოთ, რომ, ვენახების ახლანდელი მდგომარეობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დასახული ამოცანის შესრულება ნამდვილად საიმედოდ გვეჩვენება.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ასე კარგად დამუშავებული, საუცხოოდ მოვლილი ვენახები და ასეთი მოსავლიანობის ნიშნები, თითქმის ყველგან, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით კახეთის ზონაში, ჩვენ წინათ არასოდეს არ გვქონია. ჩვენ ვნახეთ სამწლიანი ვენახები, რომლებიც, როგორც იტყვიან, თუ მშვიდობა იქნა, სულ ცოტა 7-8 ტონა ყურძენს მოგვცემს ყოველ ჰექტარზე.

ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად, ვენახების დათვალიერების შედეგების შესაბამისად შეიმუშაოს წინადადებანი ყურძნის დამზადების ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად რაიონებისთვის ახალი, გაზრდილი დავალებების მიცემის შესახებ და წარმოადგინოს ისინი დასამტკიცებლად ცენტრალურ კომიტეტში. ჩვენ ამ წინადადებებს განვიხილავთ და დავამტკიცებთ.

თუ ვინმე ვერ უზრუნველყოფს ამ დავალებათა შესრულებას, ჩვენ სრულიად სამართლიანად მივიჩნევთ, რომ იმ რაიონში ვენახს და ყურძენს ვერ მოუარეს, ანდა ყურძნის დამზადება ვერ მოაწყეს სათანადო დონეზე. სხვა მიზეზები გამორიცხულია.

კარგი მეურნე მარტო დღევანდელი საზრუნავით არ უნდა ცხოვრობდეს, პერსპექტივასაც უნდა ჰვრეტდეს.

დიდი ამოცანები გვაქვს გადასაწყვეტი მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლედებში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 27 სექტემბრის ცნობილი დადგენილების თანახმად, მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლოს რესპუბლიკაში ყურძნის წარმოების გეგმა უნდა გაიზარდოს მილიონ 200 ათას, ხოლო მეთორმეტე ხუთწლედის ბოლოს — მილიონ 600 ათას ტონამდე, მომავალ ხუთწლედში დამატებით უნდა გაშენდეს 30 ათასი ჰექტარი ახალი ვენახი, ამასთან მნიშვნელოვნად უნდა ამაღლდეს საშუალო მოსავლიანობა. ეს არ არის მარტო ეკონომიკური მნიშვნელობის ღონისძიება, ეს არის აგრეთვე უდიდესი სოციალური და, თუ გნებავთ, პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანაც ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისათვის, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისათვის და ყველასათვის, ვისაც მეტ-ნაკლებად აწუხებს ჩვენი რესპუბლიკის ბედი.

ამ უაღრესად რთული, მაგრამ საპატიო ამოცანის გადაწყვეტის საქმეში ჩვენ ყოველგვარ დახმარებაა გვიწევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა, პირადად ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

საკმარისია მოვიყვანოთ ერთი ფაქტი. მომავალ ხუთწლედში სამელიორაციო სამუშაოებისათვის ჩვენს რესპუბლიკას გამოუყოფენ 760 მილიონ მანეთ კაპიტალურ დაბანდებას, რაც 225 მილიონით აღემატება მეათე ხუთწლედის მაჩვენებლებს. მომავალ ხუთწლედში უნდა აშენდეს ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტები, როგორიც არის ნაურდლის არხი, ზემო ალაზნის არხის მეორე რიგი, ბაკურციხე-მილარის, ხაშ-პატარძეულის, უდაბნოს, თბილისი-კუმისის სარწყავი სისტემები და სხვ. ამ ღონისძიებათა განხორციელებით მარტო მეთერთმეტე ხუთწლედში ვენახებისათვის გაჯარწყავდება 25 ათასი ჰექტარი მიწა. პარტიისა და მთავრობის ასეთი ზრუნვა კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს პასუხისმგებლობას მევენახეობის დარგის განვითარებისათვის, იმ ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრისათვის, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვაქვს მუშაობაში.

ამას წინათ ჩვენ ქართლისა და დასავლეთ საქართველოს რაიონებში მოვაწყეთ ზონალური თათბირები სოფლის მეურნეობაში შექმნილი სიძნელეების დაძლევის თაობაზე, და უნდა გითხრათ, რომ ამ თათბირებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე და უკვე ვგრძნობთ მათს ეფექტს. და იცით, რატომ? ამ თათბირზე ჩვენ შევძელით მიგვეღწია პირუთვნელი საუბრისათვის, მთელი სიგრძე-სიგანით დაგვენახა არსებული ნაკლოვანებანი და ერთობლივად გვეძებნა მათი დაძლევის გზები. ეს არც თუ ისე იოლი საქმეა. ჩვენ ჯერ კიდევ ცოტა როდი გვყავს ისეთი ხელმძღვანელი, რომელთაც, ცეცხლივით ეშინიათ რა კრიტიკისა, ყოველნაირად ცდილობენ ზემდგომ ორგანოს თვალი აუხვიონ, შექმნან მოჩვენებითი ატმოსფერო, ხოლო თუ შენ თვითონ შენიშნე ნაკლი და მიუთითე, ამბიციას აჰყვებიან. ეს ეხება არა მარტო მეურნეობის ან რაიონის ზოგიერთ ხელმძღვანელს, არამედ რესპუბლიკური მასშტაბის მუშაკებსაც.

ვფიქრობ, დღეს აქ არ მიწყენთ, თუ ჩემს გამოსვლაში შეულამაზებლად მოგახსენებთ მევენახეობასა და მეღვინეობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

დავიწყოთ, თუ გნებავთ, ისევ ვაზის ნერგის წარმოებით, რაზედაც აქ საკმაოდ ბევრი ითქვა.

უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ წლების მიხედვით ვერ უზრუნველყო ვერც მყნობისა და ვერც ნერგის წარმოების დავალების შესრულება. 1976-1979 წლებში მყნობის დავალების შესრულებას დააკლდა 105 მილიონი, ხოლო ნერგის წარმოებას — 64 მილიონი ცალი.

ნერგის მყნობისა და წარმოების დავალების შეუსრულებლობის მიზეზი მარტო ის კი არ არის, რომ რესპუბლიკამ ვერ მიიღო გარედან 80 მილიონი ცალი ფილოქსერაგამძლე სანერგე (აქვე საკითხავი ისიც არის, რატომ გარედან უნდა მიგვეღო და ჩვენი არ უნდა გვქონოდა?), არამედ ის, რომ ბევრგან ჯერ კიდევ ცუდად არის ორგანიზებული მყნობა, სტრატიფიკაცია და სანერგეებში ნერგის გამოყვანა, აგრეთვე ისიც, რომ ვაზის სანერგე სადედეებში აგროტექნიკის დონე ძალზე დაბალია. სწორედ ამიტომ 1977-1979 წლებში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია მხოლოდ 30 ათასი ცალი სტანდარტული სანერგე. ვაზის სანერგე სადედეებში არსებული არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ცუდად მოქმედებს საბოლოო შედეგებზე — ნამყენი ნერგის გამოსავლიანობაზე. სანერგეების მწვავე ნაკლებობა თავისთავად აიძულებს მეურნეობას სამყნობად გამოიყენოს 5-6 მილიმეტრი დიამეტრის სანერგე, საიდანაც პირველხარისხოვანი ნერგის მიღება თითქმის შეუძლებელია.

შარშან სახელმწიფო სანერგე მეურნეობების ტრესტის მეურნეობებმა ლერწის მიღების გეგმის შესრულებას დააკლეს 4 მილიონ 751 ათასი სტანდარტული ლერწი, რასაც შეეძლო უზრუნველეყო 1,2 მილიონი ვაზის მყნობა.

სათბურებსა და სანერგეებში მოვლის ღონისძიებათა არასრულყოფილი განხორციელების შედეგად მთელ რიგ სანერგე მეურნეობებში ნერგის გამოსავლიანობა ძალზე დაბალი იყო. სანერგე მეურნეობების ტრესტის სისტემის ვაზის მყნობელი 19 მეურნეობიდან ნერგის გამოსავლიანობის გეგმა ვერ შეასრულა 13 სანერგე მეურნეობამ. ჩოხატაურის სანერგეში ნერგის გამოსავლიანობამ 6,2 პროცენტი შეადგინა, ჭყონდიდში — 9,4 პროცენტი, იორში — 11,3 პროცენტი, თერჯოლაში — 22,1 პროცენტი, სვირში — 23 პროცენტი, ბაკურციხეში — 26 პროცენტი. ანალოგიური მდგომარეობაა სიღნაღის, მუღანლოს, თამარისის სანერგე მეურნეობებში, არგვეთის და ოკამის საბჭოთა მეურნეობებში, საჩხერის, ცაგერის, თერჯოლის, ზესტაფონის რაიონების საკოლმეურნეობათშორისო სანერგეებში.

ნერგის წარმოებაში ასეთი დაბალი დონის მაჩვენებლები ძირითადად იმ მეურნეობების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა ცუდი მუშაობის, მათი დაუდევრობის შედეგია.

არასახარბიელო მდგომარეობა შეიქმნა რესპუბლიკაში უნაკლოური და ძვირფასი ჯიშების ნერგის წარმოების საქმეში. ამხანაგებო, მე ძალიან გთხოვთ განსაკუთრებით მივაქციოთ ყურადღება ამ პრობლემას. მიმდინარე წელს, ნაცვლად 4 მილიონისა კახური მწვანე დაიმყნო 2,3 მილიონი ცალი, ჩხავერი — 6 ათასი, ნაცვლად 200 ათასისა, ხიზი — 100 ათასი, 150 ათასის ნაცვლად.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სანერგე მეურნეობების სპეციალიზებულმა ტრესტმა, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ძომავალში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ აპრობირებული, სელექციურად გამორჩეული ვაზის ნერგის წარმოების საკითხს, ფართოდ დანერგონ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ გამოყვანილი და გამოვლენილი სტანდარტული ჯიშების უხვმოსავლიანი კლონები, რომელთა გამრავლებითაც შესაძლებელი იქნება 20-30 პროცენტით გაიზარდოს ისეთი სტანდარტული ჯიშების მოსავლიანობა, როგორიც არის რქაწითელი, საფერავი, კახური მწვანე, ჩინური, გორული მწვანე, ციცკა, ცოლიკაური და სხვა, მათთვის დამახასიათებელი ხარისხის შენარჩუნებით. აქ ამხანაგი გოგიბერაშვილი აყენებდა საკითხს, ჩვენ სამყნობი მასალის შერჩევას არ ვაწარმოებთ სათანადო დონეზე და ამ მასალის წინასწარი სერიოზული შესწავლა, აპრობაცია არ მიმდინარეობსო. მე მგონი, ეს ძალიან დიდი რეზერვია ჩვენში ხვალინდელი დღისა და ეს რეზერვი უნდა ავამოქმედოთ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ვაზის სამყნობი მანქანების წარმოების საქმეში არსებული სერიოზული ჩამორჩენა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ სრული უპასუხისმგებლობა გამოიჩინა სამთო მანქანების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ. საქმისადმი სერიოზული მიდგომა არა ჩანს არც საქსახსოფლტექნიკის მხრივაც. ამ ამხანაგებს ერთხელ კიდევ უნდა მოვაგონოთ უბრალო ჭეშმარიტება: როცა თავი არა გაქვს გადაწყვიტო ესა თუ ის საკითხი, ხელი არ უნდა მოჰკიდო მას, ხოლო თუ ხელი მოჰკიდე, მაშინ კეთილ ინებე და ან გააკეთე საქმე, ან პასუხი აგე.

აქ იმაზეა ლაპარაკი, რომ თავის დროზე ამხანაგმა დავით სარიშვილმა ვალდებულება იკისრა, რომ ამ მანქანას აითვისებდა. ჯერჯერობით სერიოზული ნაბიჯი არ არის წინ გადადგმული ამ მიმართულებით.

მიუხედავად იმისა, რომ ვენახების გაშენების გეგმებს ბევრი რაიონი, განსაკუთრებით კი კახეთის რაიონები, დიდი გადაჭარბებით ასრულებენ, გაშენების ხუთწლიანი გეგმის შესრულება მაინც საფრთხეშია. გეგმა რომ შევასრულოთო, მიმდინარე წელს უნდა გაშენდეს სულ ცოტა 8 ათასი ჰექტარი. ახლა სავეგეტაციო ჯერ მხოლოდ 2 ათასი ჰექტარია მომზადებული, დრო კი ძალიან ცოტა დარჩა. საქსახსოფლტექნიკის მუშაკები ამ საქმეშიც სცოდავენ. როგორც ჩვენთვის ცნობილია, წითელწყაროს რაიონში, სადაც ყველაზე მეტი ვენახები უნდა გაშენდეს, საქსახსოფლტექნიკის მუშაკები ძალზე ცუდად მუშაობენ.

ვენახების გაშენების ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმე თითქმის ჩაიშალა დასავლეთ საქართველოს რაიონებში. აქ შარშან ვენახების გაშენების გეგმა მხოლოდ 36 პროცენტით შესრულდა, გეგმას დააკლდა 1691 ჰექტარი, ხოლო 4 წლის განმავლობაში—3.946 ჰექტარი, ანუ გეგმის 48 პროცენტი. ვენახების გაშენების გეგმები ჩამალეს თერჯოლის, ცაგერის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, ამბროლაურის რაიონების, ჭიათურისა და წყალტუბოს ზონების მეურნეობებმა. აღნიშნული რაიონების ხელმძღვანელებმა ამით საფუძველი შეუტყვიეს არა მარტო მეათე ხუთწლედის, არამედ მომავალი ხუთწლედების გეგმების შესრულების საქმესაც. ასე მუშაობა აღარ შეიძლება! განა ამ რაიონების ხელმძღვანელებს უნდა საჭირდებოდეთ იმის განმარტება, რომ ამ რეგიონში საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების ერთადერთი საიმედო გზა — ეს მევენახეობაა?! მე მახსოვს ძალიან კარგად ამხ. ბურჯანაძის განცხადება დასავლეთი რაიონების თათბირზე, თერჯოლის რაიონი დასავლეთ საქართველოს გურჯაანის რაიონი უნდა გაგდესო, ასეთი ტემპით, ასეთი ნაბიჯებით წინ ვერ წაიწევთ. სიტყვას ფასი მაშინ აქვს, როცა საქმედ იქცევი.

უკანასკნელ პერიოდში ძირითადად მექანიზაციის დანერგვისა და მწვანე ოპერაციების თავიდან აცილების მიზნით ბევრგან დაიწყეს ფართომწკრივებიანი ვენახების გაშენება. ეს ცუდი როდია, მაგრამ ყველაფერში ზომიერებაა საჭირო. ჯერ ერთი, ახალ ტექნოლოგიაზე რომ გადახვიდე, ამისათვის წინასწარ უნდა მოემზადო სათანადოდ, რაც ბევრ მეურნეობაში არ კეთდება. და მეორეც, მწკრივთშორისების გაფართოებასაც აქვს, ალბათ, ზღვარი. მე არ ვიცი, რომელმა ინსტიტუტმა მისცა სიღნაღელებს ოთხმეტრიანი მწკრივთშორისებით ვენახების გაშენების რეკომენდაცია, მაგრამ განა წმინდა წყლის დილეტანტობა არ არის ის, რაც თქვენ ნახეთ დღეს საინფორმაციო ფილმში ამის თაობაზე?!

პერსპექტივაში ახალი სქემით გაშენება უნდა გახორციელდეს დიფერენცირებულად — ცალკეული მეურნეობის, მიკროზონისა და ნაკვეთის ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით და არა შაბლონურად. ამასთან ასეთ ნარგავებს უნდა შევუქმნათ მოვლის განსაკუთრებით მაღალი აგროფონი, რათა, ნაკლები შრომითი დანახარჯებით უზრუნველეყოთ ყურძნის უხვი მოსავლის მიღება.

მევენახეთა წინაშე დასმული ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა — მეჩხერიანობის მინიმუმამდე შემცირება — შეუსრულებელი დარჩა. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ამ დარგში ჯერ ორწლიანი გეგმა შეიმუშავა, შემდეგ სამწლიანად გადააკეთა, მაგრამ ამით საქმე დიდად არ წასულა წინ. უფრო მეტიც, ზოგან მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. იმავე სამინისტროს მონაცემებით, 1976-1979 წლების მანძილზე საზოგადოებრივ ვენახებში შეიცვალა 50 მილიონზე მეტი მოცდენილი ადგილი, მაგრამ მეჩხერიანობა მაინც კვლავ დიდია, როგორც გითხარით, 15 პროცენტს შეადგენს.

აშკარად თვითდინებაზეა მიშვებული მეჩხერიანობის წინააღმდეგ ბრძოლა რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონებში. მაგალითად, მეჩხერიანობა კვლავ მაღალია ნადაგის დამუშავების, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანის, მწვანე ოპერაციების, რწყვის, მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის აგროტექნიკურ ღონისძიებათა შესრულების ოპტიმალური ვადები.

შარშან ვენახების მოვლის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები დაუშვეს ნაზიერის რაიონის ალპის, კ

დავღალჭრილთ მეათე ხუთწლედის მიჯნაზე, ლირსეულად შევხვდეთ სკკპ XXVI ყრილობას

(გაგრძელება)

ამის შედეგია ის, რომ შარშანაც კი, როცა რესპუბლიკამ ყურძნის დამზადების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, საზოგადოებრივმა მეურნეობებმა გეგმის შესრულებას 39 ათას ტონაზე მეტი ყურძენი დააკლეს.

სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმები ვერ შეასრულეს 22 რაიონის კოლმეურნეობებმა და 25 რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა. გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს დააკლეს 2.599 ტონა, საბჭოთა მეურნეობებმა — 7.888 ტონა, შესაბამისად — ყვარლის 3.427 და 11.081 ტონა, წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა 8.030 ტონა. ანალოგიური მდგომარეობაა ხაშურის, ქარელის, გორის, ბარდანის, კასპის, მარნეულის და ზოგიერთი სხვა რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში. აი, რამ გააპირობა ის მდგომარეობა, რომ რესპუბლიკამ ვერ შეასრულა ყურძნის დამზადების 4 წლის გეგმა.

როგორც გახსოვთ, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა მიმდინარე ხუთწლედის პირველი ორი წლის განმავლობაში, როდესაც მევენახეებმა ყურძნის დამზადების გეგმის შესრულებას 186 ათასი ტონა ყურძენი დააკლეს. აღნიშნული ჩამორჩენა ნაწილობრივ ანაზღაურდა 1978-79 წლებში და იგი 67 ათასი ტონით შემცირდა, თუმცა, როგორც თავდანვე ვთქვი, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

რამდენიმე სიტყვა საკარმიდამო მევენახეობის შესახებ. კავშირის მასშტაბით საკარმიდამო მევენახეობას ყურძნის წარმოებისა და დამზადების მხრივ ისეთი ხვედრითი წილი არა აქვს, როგორც საქართველოში. თუმცა, უკანასკნელ წლებში საზოგადოებრივ მეურნეობათა ხვედრითი წილი სისტემატურად იზრდება და 1979 წელს უკვე 60 პროცენტი შეადგინა ყურძნის დამზადებაში, ნაცვლად 57 პროცენტისა 1965 წელს, რაც უკვე ითქვა აქ, მაგრამ საკარმიდამო მევენახეობის როლი და მნიშვნელობა ამით არ შემცირებულა, პირიქით, абსოლუტური ციფრებით იგი სისტემატურად იზრდება. ჩვენ ვალდებული ვართ ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ ეს ტენდენცია მომავალშიც შეინარჩუნოთ.

ამასთან ერთად არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი სოფელში უკვე ვხედებით მოუვლელ, ზოგჯერ უპატრონოდ მიტოვებულ საკარმიდამო ვენახებს. მე არ შევუდგები ყველა ასეთი ფაქტის განხილვას. მოვიყვან მხოლოდ ერთს, მაგრამ, ჩემი აზრით, დამახასიათებელს. ვფიქრობ, ამას არ მიწყენენ საგარეჯოელები. როცა თბილისიდან კახეთში მოდიხართ, საგარეჯოს შემოსასვლელში, გზის მარჯვენა მხარეს, ალბათ, ბევრ თქვენგანს შეუნიშნავს ბალახმოდებული ვენახის ნაკვეთი, რომელიც უპატრონოდ მიტოვებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენ დავინტერესდით ამ საკითხით. თურმე, ვენახი, რომლის ფართობი 2000 კვადრატულ მეტრს შეადგენს, ეკუთვნის გარეჯის მეურნეობის მცნოვრებს, 75 წლის პენსიონერს დარიკო ალექსანდრეს ასულ ფურცელაძეს. მას მეუღლე და ჯაჭვიშვილი გარდაცვლილი ჰყავს და მასთან მხოლოდ ობლად დარჩენილი შვილიშვილი ეთერ ფურცელაძე ცხოვრობს, რომელმაც წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. გარდა ამისა, დარიკო ფურცელაძეს ჰყავს 3 გათხოვილი ქალიშვილი და 8 შვილიშვილი, რომელთაგან ორი მოზრდილი „ვაჟკაცი“ ავთანდილ და ტრისტან შათირიშვილები იმავე სოფელში ცხოვრობენ. მათ არ შეიძლება არ ენახოთ კინოფილმი „ჯარისკაცის მამა“, სადაც კახელი გლეხი მტრის მიწაზე ესიყვარულება მადლიან ვაზს, მათ კი ღვიძლი ბებიის ვენახში, ალბათ, ფეხიც არ შეუდგამთ, რომ ენახათ, თუ როგორ ნადაურდება მათი პაპის ჩაყრილი ვაზი. არა მარტო მათ შვილებს, არამედ მეზობლებსაც, სასოფლო საბჭოსაც, პარტიულ ორგანიზაციას, სამეურნეო ხელმძღვანელს და სხვებს უნდა მიეხედათ, რადგან ეს არა მარტო იმ პიროვნების კუთვნილებაა, ეს საერთოდ ჩვენი დოვლათია — ყოველი ძირი ვაზი.

ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ არავის არა აქვს უფლება მოუვლელად და უყურადღებოდ დატოვოს არა მარტო საზოგადოებრივი ვენახები, არამედ საკარმიდამო ნაკვეთებიც, რაგინდ მცირეც იყოს ის, თუნდაც იმიტომ, რომ ყველა მიწა საზოგადოებრივი საკუთრებაა და საკადღებულოა მისი ყაირათიანად გამოყენება.

საინტერესოა გურჯაანელთა წინადადება ყურძნის ხარისხის ამაღლების შესახებ, რომელზეც აქ რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ბ. შინჯიაშვილმა ილაპარაკა და რომელსაც საკმაოდ დიდი ხანია ამუშავებენ მეცნიერებთან და სამინისტროების სპეციალისტებთან ერთად. ამ წინადადების ძირითადი არსი ის გახლავთ, რომ მევენახეობის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მევენახეებს უწესებდათ არა მარტო ყურძნის საერთო მოცულობის გეგმა, არამედ პირობითი შაქრის დაგროვების გეგმაც და გეგმა შესრულებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე მაჩვენებლის მიხედვით იქნება შესრულებული. წინადადება, ვფიქრობთ, სწორია, მოსაწონია, მაგრამ საჭიროა ბოლმდე დაიხვეწოს იგი და გეგმის სახით უკვე მომდინარე წელს დაინერგოს ერთ რაიონში ძინნე. თუ ამის გაკეთება გურჯაანელებს არ შეუძლიათ, მაშინ ჩვენ სხვა რაიონს მივანდობთ ამ პიროორიტეტს.

საქართველო იყო, არის და მომავალშიც უნდა დარჩეს ხარისხიანი მეღვინეობის რესპუბლიკად. ამ საქმეში თავიანთი სიტყვა უნდა თქვან ჩვენმა მეცნიერებმა. ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ იმით, რომ ქართველმა კაცმა 500-ზე მეტი ჯიშის ვაზი შექმნა, და ეს გაკეთდა ძირითადად მეცნიერების განვითარებამდე, ახლა რატომ არ უნდა მოვთხოვოთ ჩვენს მევენახე მეცნიერებს ყველაზე საუკეთესო ჯიშის ვაზის შექმნა, ისე როგორც, ვთქვათ, ამას შვრებიან ჩვენი მეჩაიე მეცნიერები, რომელთაც გაცილებით ხანმოკლე ტრადიციები აქვთ მევენახეებთან შედარებით.

კვლავ მინდა მივუბრუნდე წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევების, მექანიზაციის დანერგვის საკითხს. მევენახეობის მასშტაბური განვითარების ხელისშემშლელად კვლავ რჩება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის მეტად დაბალი დონე. ფილმის კადრებმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს მეურნეობათა მომარაგება სათადარიგო ნაწილებით, მისაბმელი იარაღებით, შესაწამლი აპარატურით და სხვა, რადგანაც მათი ნაკლებობის გამო ბევრი სამუშაო დიდი დაგვიანებით და უხარისხოდ სრულდება.

ამასთან ისიც აღსანიშნავია რომ ზოგიერთ მეურნეობაში სრულყოფილად არ არის დატვირთული ტექნიკა, საკადრო ყურადღება არ ექცევა მათ მოვლას, მექანიზატორთა კადრების მომზადებას, ხოლო თერჯოლის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის, საჩხერის, ამბროლაურის და სხვა რაიონებში, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივ მეურნეობათა ვენახების 70-80 პროცენტი შეიძლება მექანიზაციით დამუშავდეს, მთელი რიგი შრომატევადი სამუშაოები მაგალითად, ნიადაგის დამუშავება, წამლობა და სხვა, მაინც ხელით სრულდება.

მევენახეობაში მექანიზაციის გამოუყენებლად დღეს წარმოუდგენელია ამ დარგის ინტენსიფიკაცია და საერთოდ შრომის ნაყოფიერების ამაღლება. ვენახებში შრომატევად სამუშაოებად, რომელთა მექანიზაციაც ჯერ კიდევ ვერ გადაწყდა, რჩება მწვანე ოპერაციები და ყურძნის კრეფა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უკვე შექმნილია ყურძნის საკრეფი მანქანების სხვადასხვაგვარი კონსტრუქციები, რომლებიც ჯერჯერობით გამოცდის პროცესშია. ხოლო, რაც შეეხება ნაკვეთიდან ყურძნის გამოტანის და დატვირთვის მექანიზაციას, ეს საქმე უკვე გადაწყვეტილია და ფართოდ უნდა დაინერგოს რესპუბლიკის მევენახეობის მეურნეობებში, რაც საშუალებას მოგვცემს ერთიორად გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება.

და, ბოლოს, გულახდილად უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის ერთიანი მწყობრი სისტემა, ამდენად, საჭიროა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შესაბამისმა კათედრებმა და მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა შეიმუშაონ მევენახეობის მექანიზაციის დონის მკვეთრი ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის მეცნიერულად დასაბუთებული, მიზნობრივი პერსპექტიული პროგრამა.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც, ჩვენი აზრით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის, ეს არის ყურძნის კრეფის სწორი ორგანიზაცია. ცნობილია, რომ ყურძნის კრეფა მწვანე ოპერაციების შემდეგ ყველაზე რთული და შრომატევადი პროცესია მევენახეობაში. ამიტომ მის სწორ ორგანიზაციაზე ბევრად არის დამოკიდებული ყურძნის წარმოებისა და დამზადების გეგმების შესრულების ბედი.

აქ არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს, რომ ფრაზა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა თელავის რაიონში ყურძნის კრეფის, ტრანსპორტირების და დამზადების მართვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვით. აღნიშნული ინიციატივა მოიწონეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, მიმდინარე წელს გათვალისწინებულია „რთველი-80“-ის მართვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვა კახეთის ყველა რაიონში.

ჩვენი აზრით, აღნიშნული ღონისძიება იმ ახალი ეტაპის დასაწყისია, რომელსაც სოფლის მეურნეობის მართვის ავტომატიზაცია ჰქვია, და რაოდენ საამაყოა, რომ სწორედ ჩვენი ქვეყნისათვის ტრადიციულ დარგში — მევენახეობაში — მიეცა მას დასაბამი. თუმცა, თუ გულახდილი ვიქნებით, თავდაპირველად ბევრს არ სჯეროდა, რომ რაიმე გამოვიდოდა აქედან, ახლა კი ამ მეთოდით დაინტერესდნენ საკავშირო ორგანოები და ამ რამდენიმე ხნის წინათ აქ გაიმართა საკავშირო თათბირ-სემინარი, რითაც თელაველ ამხანაგებს სამართლიანად შეუძლიათ იამაყონ. მართვა სჭირდება არა მარტო ყურძნის მოსავლის აღებას, არამედ ვენახში განსახორციელებელ ყველა ღონისძიებას. ამ მიზნით თელავის რაიონულმა კომიტეტმა, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა შემდგომში კიდევ უფრო უნდა გააღრმაონ თავიანთი მუშაობა იმ თვალსაზრისით, რომ ყურძნის მოვლა-მოყვანის ყველა პროცესის მართვა ხდებოდეს ავტომატიზებული სისტემის საშუალებით, ხოლო შემდეგ აღნიშნული გამოცდილება გაბედულად უნდა გავავრცელოთ სხვა კულტურებზე და მთლიანად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე. სამწუხაროდ, ამ საქმეში ჩვენ ვერ ვგრძნობთ ყველა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, განსაკუთრებით კი ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აქტიური პოზიციას, საჭირო კი იყო.

ამხანაგებო!

რასაკვირველია, ჩვენ მევენახეობა, ქართული ყურძენი და ღვინო თავისთავად გვაინტერესებს, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი მაინც საბოლოო შედეგით განიზომება. საბოლოო შედეგი კი დარგის ეკონომიკურ მაჩვენებლებში იჩენს თავს.

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ საკითხს, თითქოს საგანგაშო არაფერია მევენახეობაში. აქ გასულ 5 წელიწადში რენტაბელობის დონემ 35 პროცენტს მიაღწია, ხოლო კახეთის ზონაში 40 პროცენტს აღწევს. მაგრამ, თუ საკითხს ცალკეული რაიონებისა და მით უმეტეს მეურნეობების მიხედვით განვიხილავთ, მდგომარეობა საკმაოდ დამაფიქრებელია. მაგალითად, 1978 წლის მონაცემებით, იმერეთის ზონის ყურძნის მწარმოებელი 84 კოლმეურნეობიდან 53 კოლმეურნეობაში იგი ზარალიანი იყო და ზარალის დონე მინუს 50-60 პროცენტზე ნაკლები იყო. ზესტაფონის რაიონის სვირის კოლმეურნეობაში ზარალიანობა მინუს 96 პროცენტს აღწევს. მე შემეძლო კიდევ ჩამომეთვალა ასეთი კოლმეურნეობები, მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. პარტიის რაიკომებმა და რაიაღმასკომებმა კარგად იციან, რომელია ეს კოლმეურნეობები. ასეთ მეურნეობებში მათ ძირეულად უნდა გარდაქმნან საერთოდ მუშაობა, თორემ ყურძნის შესასყიდი ფასების მომატება, რაც გასულ წელს მოხდა და ახლო მომავალში, ალბათ, აღარ განმეორდება, ვეღარ უშველით.

აი ძირითადად ის პრობლემები, რომელთა თაობაზეც მინდოდა დღევანდელი თათბირისათვის მომეხსენებინა ცენტრალური კომიტეტის მოსაზრებები და თუ ეს პრობლემები დროულად ვერ გადაწყვიტეთ, ჩვენი აზრით, შეუძლებელი იქნება იმ დიდი ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც ჩვენ წინაშეა დასახული როგორც მომდინარე წელს, ისე მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლედებში მევენახეობის განვითარებისა და ყურძნის წარმოების გადიდების საქმეში.

ამხანაგებო!

ჩვენს რესპუბლიკაში არაერთხელ გამართულა ღრმაშინაარსიანი მსჯელობა როგორც მევენახეობის, ისე მეღვინეობის განვითარების უმთავრეს პრობლემებსა და ტენდენციებზე. უფრო მეტიც, ასეთი შეხვედრები უკანასკნელ წლებში უკვე კარგ ტრადიციად იქცა.

მაგრამ ეს შეხვედრები და მსჯელობა დღემდე, ჩვეულებრივ, შემოიფარგლებოდა მევენახეობისა და მეღვინეობის უახლოესი საჭირბოროტო, სადღეისო საკითხებით, უფრო ხშირად კი ცალ-ცალკე ვიხილავდით ან მეღვინეობის, ან მევენახეობის საკითხებს.

ამ ორ ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებულ დარგზე ცალ-ცალკე მსჯელობაც საჭირო და მისაღებია. მაგრამ ჩვენი შეხვედრები უფრო ეფექტიანი რომ გახდეს, ამისათვის საჭიროა მევენახეობა-მეღვინეობა განვიხილოთ როგორც ერთიანი სამეურნეო კომპლექსი, რადგან ეს ორი დარგი თავისი შინაარსით, ტექნოლოგიური პროცესების მსგლელობის თანამიმდევრობით და საბოლოო პროდუქტის მიღების თვალსაზრისით ერთიანი კომპლექსია.

რა თქმა უნდა, მევენახეობას, როგორც ჩვენი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ტრადიციულ და წამყვან დარგს, თავისი საკუთარი ამოცანები, საკუთარი პრობლემები და თავისებურებები აქვს. ასევეა მეღვინეობაც, რომელიც რესპუბლიკის ინდუსტრიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ამასთან მისი სპეციალიზაციის დარგია.

მაგრამ ამავე დროს არ არსებობს მევენახეობის არც ერთი საკითხი, არც ერთი პრობლემა, არც ერთი სატკივარი, რომელმაც შეიძლება გულგრილი დატოვოს მეღვინე. მევენახეობაში წარმოქმნილი ესა თუ ის დისპროპორცია უსათუოდ იჩენს თავს მეღვინეობაში. და, პირიქით, მეღვინეობის ბედი, მისი განვითარების პერსპექტივები, მისი სახელი და პრესტიჟი თითქმის მთლიანად ეფუძნება მევენახეობას.

ამიტომ გვინდა დღეს ამ ორ დარგზე, როგორც ერთიან სამეურნეო კომპლექსზე, ვისაუბროთ. მევენახეობა-მეღვინეობისადმი, საერთოდ, სანდღეისო ბაზისა და გადამუშავებელი დარგებისადმი ასეთი კომპლექსური მიდგომის შესანიშნავი მაგალითია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთელი და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რომელშიც ეფექტიანი ღონისძიებებია გათვალისწინებული აგა მარტო სოფლის მეურნეობის საკითხებზე, არამედ ამ დარგის პროდუქციის გადამმუშავებელი მრეწველობის განვითარების თვალსაზრისითაც.

მევენახეობა-მეღვინეობის კომპლექსში საბოლოო სიტყვა მაინც მეღვინეობამ უნდა თქვას, მან უნდა გამოუშვას საბოლოო პროდუქტი. ამიტომ მეღვინეობის ძირითადი პრობლემების გადაწყვეტის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

საქართველოში საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა არა მარტო ვენახის გაშენების, ვაზის მოვლისა და ყურძნის წარმოების, არამედ შესანიშნავი ეროვნული ღვინოების დაყენებისა და მათი მოხმარების მაღალი კულტურა.

ყურძენი, ღვინო და მათგან გაკეთებული ბევრი სხვადასხვა ნაწარმი საქართველოში ოდითგანვე ითვლებოდა მაღალკალორიულ სანოვაგედ, ქართველი კაცის საარსებო საშუალებათა ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად.

ჩვენი მეღვინეობა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მთელ მსოფლიოში განსაკუთრებული მაღალხარისხიანობით გამოირჩევა. მევენახეობის შედადარგობრივი თავისებურებების გამო სწორედ მაღალხარისხოვანი შრომალი და ბუნებრივად მოტკბო ღვინოების წარმოებაა საქართველოს მეღვინეობის სპეციალიზაციის ძირითადი ნიშანი. მაღალხარისხოვანი სუფრის ღვინოების წარმოება ოდითგანვე მოსდგამდა ქართველ ხალხს და სწორედ ამან მოუხვეჭა ჩვენს რესპუბლიკას მაღალხარისხოვანი სუფრის ღვინოების კლასიკური ქვეყნის სახელი.

მეღვინეობის ცნობილი სპეციალისტების აზრით, კახეთის წითელი ღვინოები ტოლს არ უდებენ მსოფლიოში სახელმოხვეჭილ ფრანგულ სუფრის წითელ ღვინოებს — ბორდოულსა და ბურგუნდიულს. ასევე დიდებულია რაჭის წითელი, კახეთისა და იმერეთის თეთრი ღვინოებიც.

ჩვენც უნდა გავუფრთხილდეთ ქართველი მევენახეებისა და მეღვინეების მიერ შრომითა და ჯაფით მოპოვებულ ამ სახელს. უნდა გავუფრთხილდეთ ქართული ღვინოების დიდებას და უფრო უნდა გავუთქვათ მას სახელი. საამისოდ დღეს ჩვენ ყველა პირობა გვაქვს.

როგორც მოგეხსენებათ, მევენახეობა-მეღვინეობას საქართველოში უძველესი ისტორია აქვს. მაგრამ ამ დარგის სრულ განვითარებას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიეცა გასაქანი. ღვინის სამრეწველო წარმოების განვითარება განსაკუთრებით დაჩქარდა ომისშემდგომ წლებში.

1940 წელს საქართველოში წარმოებული იყო სულ 2,2 მილიონი დეკალიტრი ყურძნის ღვინო, 1979 წელს კი თითქმის 20 მილიონი დეკალიტრი. თუ 1940 წელს რესპუბლიკაში ვაწარმოებდით 1651 ათას ბოთლ შამპანურს, 1979 წელს ამ მაჩვენებელმა 16542 ათას ბოთლს მიაღწია. ამავე წლებში კონიაკის წარმოება 46 ათასი დეკალიტრიდან 1376 ათას დეკალიტრამდე, ანუ თითქმის 30-ჯერ გაიზარდა.

განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება მეღვინეობა უკანასკნელ წლებში. 1960 წელს რესპუბლიკის ღვინის მრეწველობამ სულ გადაამუშავა 90,6 ათასი ტონა ყურძენი, 1979 წელს — 577,2 ათასი ტონა. ეს ნიშნავს, რომ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ყურძნის გადამუშავება რესპუბლიკაში 6,3-ჯერ გაიზარდა. ამავე პერიოდში ღვინო-მასალების გამომუშავება 6345 ათასი დეკალიტრიდან 42644 ათას დეკალიტრამდე, ანუ თითქმის 7-ჯერ გადიდდა.

პირველადი მეღვინეობის სიმძლავრეები 1960-1979 წლებში გადიდდა 20 ათასი ტონიდან 617 ათას ტონამდე, მეორადი მეღვინეობის საწარმოების სიმძლავრეები — 7600 ათასი დეკალიტრიდან 16180 ათას დეკალიტრამდე, შამპანურის საწარმოებისა — 6600 ათასი ბოთლიდან 19200 ათას ბოთლამდე და ა. შ.

მეღვინეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მკვეთრ ზრდას ისიც მოწმობს, რომ ამ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში სამრეწველო-საწარმოო ძირითადი ფონდების მოცულობა თითქმის 200 მილიონი მანეთით გადიდდა.

დღეს რესპუბლიკის ღვინის მრეწველობა ერთ-ერთი ყველაზე უფრო მაღალტექნიკური დარგია. დღესისათვის რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანების „სამტრესტის“ სისტემაში ძირითადი და დამხმარე მუშების 54 პროცენტი დასაქმებულია მექანიზებული შრომით. დარგში მოქმედებს 119 კომპლექსურად მექანიზირებული საამქრო და უბანი, 495 მექანიზირებული და ავტომატური ხაზი.

ყოველივე ამან განაპირობა მეღვინეობაში წარმოების ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლება, რაც უპირველეს ყოვლისა შრომის ნაყოფიერების ზრდით გამოიხატა. 1979 წელს ერთ მუშაზე გაანგარიშებით გამომუშავებული იქნა თითქმის 138 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც 3-ჯერ აღემატება 1960 წლის მაჩვენებელს და თითქმის 41 პროცენტით — 1975 წლის დონეს. მიმდინარე ხუთწლედში ფონდუკუგების მაჩვენებელი 12,4 პროცენტით ამაღლდა, რაც ასევე საწარმოო ფონდებისა და სიმძლავრეების გამოყენების გაუმჯობესებაზე მეტყველებს.

ამკამად მეღვინეობა ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის ერთ-ერთი მძლავრი და წამყვანი დარგია. იგი ამკამად იღებს მთელი სამრეწველო პროდუქციის 14 პროცენტს და კვების მრეწველობის პროდუქციის ერთ მესამედს.

ყველა ამ საერთოდ დადებითს ტენდენციასთან ერთად არ შეიძლება შეუმჩნეველი დაგვრჩეს ის უმნიშვნელოვანესი ნაკლოვანებანი, ე. წ. „ვიწრო ადგილები“ და დისპროპორციები, რომლებიც ჯერ კიდევ ახასიათებს მეღვინეობის განვითარებას ჩვენს რესპუბლიკაში.

ერთ-ერთი ძირითადი დისპროპორცია, რომელიც ამკამად ყველაზე თვალსაჩინო და ამავე დროს ყველაზე მტკივნეულია, — ეს არის შეუსაბამობა მეღვინეობის სახდღეისო ბაზისა და გადამუშავებელი საწარმოების სიმძლავრეებს შორის. ეს ხარვეზი უმთავრესად ღვინის შესანახი ჭურჭლის ნაკლებობით გამოიხატება.

1980 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანება „სამტრესტის“ ფაქტობრივი სიმძლავრე შეადგენდა 617 ათას ტონას. ამ წელს კი ჩვენ მოველით 770 ათასი ტონა ყურძნის დამზადებას. ამრიგად, „სამტრესტის“ სისტემაში დღეისათვის ყურძნის გადამუშავების სიმძლავრეთა დიდი დეფიციტი გვაქვს.

ამკამად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, „სამტრესტის“ ხელმძღვანელობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა აღმოფხვრან ეს დისპროპორცია.

საკავშირო მინისტრთა საბჭომ „სამტრესტს“ დამატებით გამოუყო 4000 ტონა ფურცლოვანი რკინა საღვინე ცისტერნების დასამზადებლად. ამავე მიზნისათვის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გამოყო 1500 ტონა რკინა. ამ 5500 ტონა ფურცლოვანი რკინისაგან უნდა დამზადდეს 70 ათასი ტონა ტევადობის საღვინე ცისტერნები.

მიმდინარე წელს წითელწყაროში, წნორისწყალსა და თერჯოლაში საექსპლოატაციოდ გადაეცემა სიმძლავრეები, რომელთა საერთო ტევადობა 40 ათას ტონას შეადგენს.

გარდა ამისა, „სამტრესტი“ იღებს 5000 ტონამდე ტევადობის მზა ცისტერნებს. დანარჩენი 5000 ტონა დეფიციტის დაფარვა შეიძლება დარგის შიდა რეზერვების გამოყენებით.

ამრიგად, მიმდინარე წელს სიმძლავრეთა მოსალოდნელი დეფიციტი მთლიანად იქნება დაფარული.

მაგრამ პრობლემა საბოლოოდ გადაწყვეტილად არ შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან ყურძნის წარმოება-შესყიდვა რესპუბლიკაში წლითი-წლობით იზრდება და, მაშასადამე, შესაბამისად უნდა იზრდებოდეს გადამმუშავებელ საწარმოთა სიმძლავრეებიც.

აქ ჩვენ არ შეიძლება ერთხელ კიდევ არ დავუბრუნდეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გასული წლის სექტემბრის დადგენილებას საქართველოში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

ამ დადგენილებით გათვალისწინებულია მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლოსათვის საქართველოს მეღვინეობის სიმძლავრეების გადიდება შემდეგი მასშტაბით:

პირველადი მეღვინეობის ქარხნებისა — 1050 ათას ტონამდე,

ჩამომსხმელი ქარხნებისა — 30 მილიონ დეკალიტრამდე,

შამპანური ღვინოების წარმოებისა — 40 მილიონ ბოთლამდე,

კონიაკის ქარხნებისა — 2 მილიონ დეკალიტრამდე.

სამარკო ღვინოების დასაძველებელი საცავების სიმძლავრე უნდა გაიზარდოს 15 მილიონ დეკალიტრამდე, მოტკბო ღვინოების საცავები — 3 მილიონ დეკალიტრამდე და ა. შ.

მეღვინეობის სიმძლავრეების ასეთი მასშტაბით გასადიდებლად გათვალისწინებულია მეთერთმეტე ხუთწლედში გამოიყოს 180 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებები, რაც თითქმის ორჯერ აღემატება მიმდინარე ხუთწლედში გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას.

პირველადი მეღვინეობის სიმძლავრეთა განლაგება უმთავრესად გათვალისწინებულია რესპუბლიკის მევენახეობის ძირითად რეგიონში — კახეთის რაიონებში. გათვალისწინებული 496 ათასი ტონის სიმძლავრეებიდან კახეთის რაიონებში განაწილებულია განლაგდეს 450 ათასი ტონის ახალი სიმძლავრეები. დიდი მშენებლობებია გათვალისწინებული წითელწყაროს, ახმეტის, გურჯაანის, თელავის რაიონებში. გათვალისწინებულია აგრეთვე გაფართოვდეს და რეკონსტრუირებულ იქნეს თერჯოლის, გუდაუთის, ამბროლაურისა და სხვა რაიონების ქარხნები დასავლეთ საქართველოში.

საგრძნობლად გაიზრდება თბილისის № 3 და სოხუმის ჩამოსასხმელი ქარხნების სიმძლავრეები. მწყობრში ჩადგება და სრული დატვირთვით ამუშავდება თერჯოლის შამპანური ღვინოების წარმოებისა და კონიაკის მძლავრი ქარხნები. სამარკო ღვინოების საცავები აშენდება თელავში, კურდღელაურში, ახმეტაში, საგარეჯოში, გურჯაანსა და თბილისში. მოტკბო ღვინოების საცავები აშენდება გურჯაანში. ნარჩენების გადამუშავების საამქროების მშენებლობა გათვალისწინებულია წითელწყაროს, ბადიაურის, ახმეტის, მუკუზნის, ჭიკანისა და ზესტაფონის პირველადი მეღვინეობის ქარხნებში.

როგორც ხედავთ, პროგრამა დიდი და დაძაბულია, მაგრამ მისი განხორციელება შესაძლებელიც არის და აუცილებელიც, რათა არ დავუშვათ დისპროპორცია ყურძნის წარმოების მოსალოდნელ ზრდასა და მისი გადამუშავებისათვის საჭირო სიმძლავრეებს შორის.

ამ პროგრამის შესრულებაში თავისი წვლილი უნდა შეიტანონ ჩვენმა მშენებლებმა — მშენებლობის სამინისტროს და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემის შრომითმა კოლექტივებმა.

მათს დაძაბულ შრომაზე, მათს ორგანიზებულობაზე და, თუ გნებავთ, პატრიოტიზმზე ბევრად არის დამოკიდებული მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევს ყოველმხრივ შეწონასწორებული მევენახეობა-მეღვინეობის კომპლექსის შექმნა რესპუბლიკაში.

მეღვინეობის დარგში სამშენებლო ორგანიზაციებმა მეთერთმეტე ხუთწლედში ყოველწლიურად უნდა აითვისონ სამუალოდ 36-40 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებები.

ამ სამუშაოების ორგანიზებული და დროული შესრულებისათვის საჭიროა, რომ მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებმა ამთავითვე შეიმუშაონ სათანადო ღონისძიებათა სისტემა, შესასრულებელი სამუშაოების კარგად გააზრებული პროგრამა და გაერთიანება „სამტრესტის“ ხელმძღვანელებთან ერთად ყველაფერი იღონონ დასახული გეგმის პირნათლად შესრულებისათვის.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარების შესაძლებლობებსა და ასეთი ღვინოების ფაქტობრივ წარმოებას შორის ამკამად არსებული დისპროპორციის დაძლევა. ამ საქმეში ჩვენ უნდა დავიკავოთ სრულიად გარკვეული და მტკიცე პოზიცია.

კარგად მოგეხსენებათ, რომ საქართველოს უნიკალური ბუნებრივ-ნიადაგობრივი და კლიმატური პირობები საშუალას იძლევა მივიღოთ მაღალხარისხოვანი და მაღალკონდიციური ყურძენი, რაც იმის პირობას ქმნის, რომ მკვეთრად გაიზარდოს სუფრის სამარკო, ბუნებრივად მოტკბო და მშრალი საერო ღვინოების წარმოება.

ეს სწორედ ის ღვინოებია, რომლებიც ქმნიან რესპუბლიკის მეღვინეობის სახეს. სწორედ მათ გაუთქვეს სახელი ქართველ მევენახეებსა და მეღვინეებს. მათ არაერთხელ მოუპოვებიათ უმაღლესი ჯილდოები საერთაშორისო კონკურსებსა და გამოფენებზე.

მაგრამ ხარისხოვანი სუფრის ღვინოების წარმოება ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს, ჯერ კიდევ ძალიან დაბალია მშრალი ღვინოების ხვედრითი წილი ღვინოპროდუქტების საერთო მოცულობაში. სრულიად შეუწყნარებელია, რომ საქართველოში — ხარისხოვანი ღვინოების ამ კლასიკურ ქვეყანაში — ყურძნის ღვინის თითქმის ორი მესამედი (61,7 პროცენტი) შემაგრებული ღვინოებს წილად მოდის.

განა საპატიოა, რომ 1979 წელს, როცა ყურძნის დამზადებისა და გადამუშავების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, სულ გამომუშავებულ იქნა 3,5 მილიონი დეკალიტრი სამარკო ღვინომასალა, ნაცვლად 4 მილიონი დეკალიტრისა, მოტკბო ღვინომასალების წარმოების გეგმა შესრულდა სულ 48,6 პროცენტში, სპერო მშრალი სუფრის ღვინომასალები გეგმით გათვალისწინებული 12 მილიონი დეკალიტრის ნაცვლად გამომუშავებულ იქნა 8 მილიონი დეკალიტრის ოდენობით

დავღალეთ მეათე ხეთნღვედის მიჯნაში, ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXVI ყრილობას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომი წინსვლის ერთ-ერთი და, მე ვიტყოდი, უმთავრესი საწინდარია მისი მართვის დახვეწა, გამარტივება და სრულყოფა. წარმოების მართვის გაუმჯობესების მიმართულებით უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი რამ კეთდება. შეძენილია საკმაოდ დიდი გამოცდილება და ეს გამოცდილება მევენახეობა-მეღვინეობის საქმეშიც გონივრულად, არსებული პირობების და ამ დარგთა კომპლექსურობის გათვალისწინებით უნდა გამოვიყენოთ.

თქვენ მოგეხსენებათ საკმაოდ საინტერესო ექსპერიმენტის შესახებ, რომელიც უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს აბაშის რაიონში. ამ ექსპერიმენტმა, გამოცდილებამ უკვე ჰპოვა გაღრმავება მახარაძის რაიონში, სადაც ძალიან საინტერესო გამოცდილება შეიქმნა. გაერთიანებაში პარტნიორებად მონაწილეობენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, აგრეთვე გადამმუშავებელი მრეწველობის ობიექტები, ჩაის ფაბრიკები, სამშენებლო და დამამზადებელი ორგანიზაციები და ასე შემდეგ. ეს ძალიან საინტერესო ფორმაა. შეიქმნა პირობები იმისათვის, რომ რაიონში არსებობდეს მართვის ერთიანი სისტემა როგორც სოფლის მეურნეობის დარგში, ისე გადამამუშავებელი მრეწველობის დარგში. ჩემი აზრით, ასეთ სისტემას რომ მოერგებოდეს ავტომატიზებული მართვის სისტემა, რომელიც დღეს აქ, თელავში ვნახეთ, ეს იქნებოდა იდეალური გადაწყვეტა. ალბათ, ეს არის მომავლის ის გზა, რომლისკენაც ჩვენ მივიწევთით. მე რატომღაც მგონია, რომ მეღვინეობა-მევენახეობის რაიონები, ცოტა არ იყოს, ინერტულად სწავლობენ ამ გამოცდილებას და ძალიან დიდ დაინტერესებას არ იჩენენ იმისათვის, რომ დრო არ დაიკარგოს და ის, რისი დანერგვაც შეიძლება, დროულად დაინერგოს ამ გაერთიანებათა შექმნის თვალსაზრისით. ამ მხრივ მევენახეობისა და მეღვინეობის რაიონებს ძალზე კარგი პერსპექტივა აქვთ.

მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს აგრეთვე წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საკითხებს.

მეურნეობის მართვის პრობლემა პირველ რიგში კადრების პრობლემაა. ამიტომ სათანადო კვალიფიკაციის კადრებით მეღვინეობისა და მევენახეობის უზრუნველყოფის საკითხი დღეისათვის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე უფრო მტკივნეული და სასწრაფოდ (მაგრამ არა ნაჩქარევად) გადასაწყვეტი საკითხია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში კადრების საკითხი მუდამ დგას დღის წესრიგში. ამ საკითხს სპეციალური პლენუმიც მიეძღვნა. რესპუბლიკის ყველა ქალაქში, ყველა რაიონში, პარტიის ყველა პირველადს ორგანიზაციაში იქნა განხილული XVII პლენუმის შედეგები და აქედან გამომდინარე ამოცანები.

კადრების პრობლემისადმი ასეთი მიდგომა შემთხვევითი არ არის. იგი გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ მიღებული ცნობილი დადგენილების შემდეგ რესპუბლიკის კომპარტიის მიერ აღებული კურსიდან.

წარსულის რეციდივები ჯერ კიდევ საკმაოდ მწვავედ იჩენენ თავს. ამის მაგალითები ცნობილია.

ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ძიება მეღვინეობაში, კერძოდ, შამპანური ღვინოების საწარმოო გაერთიანებაში მოკალათებული საქმოსნების შესახებ.

როგორ მოხდა, რომ ამ ერთ-ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელ პოსტებზე აღმოჩნდნენ შეუმოწმებელი პირები, გაქნილი საქმოსნები? ამ კითხვას უნდა გაეცეს საგანგებო ამომწურავი პასუხი. და არა მარტო იმიტომ, რომ ამ პასუხს მოელის საზოგადოება, არც იმიტომ, რომ დავიმაყოფილოთ ცნობისმოყვარეობა. აქ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა საჭიროა იმიტომ, რომ სხვაგან და სხვა დროს არ გამეორდეს მსგავსი რამ, სხვაგან და სხვა დროს არ შეიქმნას სიტუაცია, რომელიც ხელს შეუწყობს ასეთ ბოროტმოქმედთა პარპაშს, მათს დაუსჯელ საქმიანობას.

ბოროტმოქმედება, რომელიც მოხდა თბილისის შამპანურის ქარხანაში, შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ კვების მრეწველობის სამინისტროში დიდი ხნის განმავლობაში მოდუნებული იყო კონტროლი. უფრო სწორად თუ ვიტყვით, კონტროლი ხორციელდებოდა გამორჩევით. სამტრესტის ყოფილი ხელმძღვანელი მელუა, მაგალითად, განსაკუთრებული მდგომარეობით, სამინისტროს ხელმძღვანელობის მხრივ გაუმართლებელი მხარდაჭერით სარგებლობდა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მელუას სამტრესტის მმართველად დაწინაურების დროს შემოსული სიგნალები მისი არაკეთილსინდისიერების შესახებ, არ მოხსენდა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს. ეს სამწუხარო ამბავია, ჩვენ დაგვჭირდება ძალიან სერიოზულად ვიმსჯელოთ ამ საკითხებზე.

ყოველივე ეს ხელს უწყობდა და მაქინატორობის სიტუაციას უქმნიდა მელუასა და მასთან დაკავშირებულ ბოროტმოქმედთა ჯგუფს, რომელიც არა მარტო დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა სახელმწიფოს, არამედ რამდენიმე ასეული ადამიანი გაბა თავის ქსელში და უამრავი ოჯახი გაუბედურა.

შამპანურის ქარხანაში მომხდარი ბოროტმოქმედები, რომლის დასაწყისი, როგორც ირკვევა, შორეულ წარსულს მიეკუთვნება, მწარე გაკვეთილია ყველა კომუნისტისათვის, ყველა ხელმძღვანელი ამხანაგისათვის.

ამ გაკვეთილმა ფუჭად არ უნდა ჩაიაროს.

განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეისწავლონ ეს გაკვეთილი ჩვენმა მეღვინეებმა, კერძოდ „სამტრესტის“ ხელმძღვანელობამ. მათ ყველაზე დიდი სიფრთხილე მართებთ ხელმძღვანელ და მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაკების შერჩევისას. ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო იმას, თუ როგორი ანკეტური მონაცემები აქვს ამა თუ იმ კანდიდატურას, არამედ უწინარესად იმას, თუ ვინ აძლევს მას რეკომენდაციას და რა მოტივები ამოძრავებს მას მოცემულ თანამდებობაზე მოსვლისას, როგორი საქმიანი და პოლიტიკური თვისებები აქვს მას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე ჩამოვაყალიბეთ კადრებთან მუშაობის, მათი შერჩევის, მომზადებისა და გამოყენების მწყობრი სისტემა. ეს სისტემა უნდა ამოქმედდეს ყველგან, ყველა სფეროში, ყველა რგოლში. საქართველოს დოვლათს მშრომელი ხალხის წმინდა ხელები ქმნის და შეუწყნარებელია, რომ ეს დოვლათი საქმოსნის ჭუჭყიანი ხელების გასანაოვებელი იყოს. ამ მიზნის ემსახურება XVII პლენუმის გადაწყვეტილებები, რომელთა სრული განხორციელება ჩვენი რესპუბლიკის ყველა კომუნისტის ვალია. ალბათ, სამტრესტის ხელმძღვანელობას დასჭირდება სპეციალური ღონისძიებების შემუშავება, ღონისძიებათა მთელი კომპლექსის შექმნა იმისათვის, რომ გაეზარდოთ მეღვინეთა რიგები, ჩავუნერგოთ მეღვინეებს თავიანთი პროფესიის უსაზღვრო სიყვარული, თავიანთი პროფესიით სიამაყის გრძნობა. ისე, როგორც მევენახე ამაყობს თავისი პროფესიით, ისე, როგორც მეფოლადე ამაყობს თავისი პროფესიით, ისე, როგორც ინჟინერი ამაყობს თავისი პროფესიით, ასევე უნდა ამაყობდეს თავისი ძალიან საჭირო პროფესიით ყველა მეღვინე. სამწუხაროდ, თქვენთვის ცნობილ პერიოდში მოხდა ამ პროფესიის ბევრი წარმომადგენლის პროფესიული პრესტიჟის დევალვაცია, ბევრს წარმოდგენა დაეკარგა მათზე. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ მეღვინეობაში მომუშავე ამხანაგებს შორის ფართო გზა მივცეთ წესიერ, პატიოსან, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, და ამავე დროს უზრუნველყოთ ამ დარგის შევსება ახალგაზრდობით, რომელსაც გულიდ უყვარს და ერთგულია ამ ფრიად საჭირო და დიდი „სისტემისა.

ამხანაგებო!

მე თავიდან მოგახსენეთ, რომ დღეს ჩვენ აქ იმისათვის შევიკრიბეთ, რათა დაწვრილებით განვიხილოთ მევენახეობისა და ყურძნის გადამმუშავებელი მრეწველობის არა მარტო სადღეისო საკითხები, არამედ განვითარების პერსპექტივებიც.

ყოველივე ეს როდი ნიშნავს, თითქოს ჩვენი სოფლის მეურნეობის სხვა დარგების, კერძოდ კი მეცხოველეობის განვითარების აქტუალობას ოდნავადაც კი ვამცირებდეთ. პირიქით, მევენახეობისა და ყურძნის გადამმუშავებელი მრეწველობის შემდგომმა განვითარებამ კი არ უნდა დააკნინოს მეცხოველეობა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგები, არამედ, პირიქით, — ხელი შეუწყოს მათ უფრო ინტენსიურ განვითარებას. თითქოს პარადოქსია, მაგრამ ასეა, რადგანაც მევენახეობა მაღალრენტაბელური დარგია და მეურნეობათა მაღალრენტაბელობა უპირველესი პირობაა მეცხოველეობის განვითარებისათვის.

ამასთან ერთად, მართალია, ჩვენ ახალი ვენახების გაშენებისათვის საკმაო რაოდენობით გამოვყოფთ მიწის ფართობებს, მათ შორის საკვები კულტურების ხარჯზე, მაგრამ ამასთან ერთად მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ვენახების გასაშენებელი ფართობების გასარწყვეტისათვის აშენებული სისტემებით მოირწყვება არა მარტო საკვები კულტურების ფართობები, არამედ ის ნახევრად უდაბნო მიწებიც, რომლებსაც ახლა ცხვრის საზამთრო საძოვრებად ვიყენებთ და იმ ფართობებზე, ალბათ 10-ჯერ უფრო მეტ საკვებს მივიღებთ, ვიდრე ამჟამად. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, უკვე დამუშავებული და გამოცდილია არა მარტო ღვინის მრეწველობის ნარჩენების, არამედ წალმის საკვებად გამოყენების რეკომენდაციებიც. თუმცა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დღემდე ვერ მოაგვარა ამ უკანასკნელი ღონისძიების საწარმოო მასშტაბით დანერგვის საქმე.

თქვენ ალბათ მიაქცევდით ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ცენტრალური კომიტეტი უკანასკნელ წლებში განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს საკარმიდამო მეცხოველეობის მიმართ. ეს შემთხვევითი არ არის. ჩვენს რესპუბლიკაში სოფლად მცხოვრები 527 ათასი კომლიდან ძროხა არ ჰყავს 239 ათას ოჯახს, ანუ 46 პროცენტს. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა კახეთის რაიონებში, მათ შორის ყველაზე უარესი — გურჯაანის რაიონში. აქ 19.100 ოჯახიდან ძროხა არა ჰყავს 18.100 ოჯახს, ანუ 95 პროცენტს, და ყველაზე უკეთესი მდგომარეობაა ლაგოდეხის რაიონში, სადაც 10.400 კომლიდან ძროხა ჰყავს 4.000 კომლს, ანუ 39 პროცენტს. დანარჩენ რაიონებში იმ კომლთა რაოდენობას, რომელთაც ძროხა არა ჰყავთ, მერყეობს 70-დან 80 პროცენტამდე.

საგანგაშო აქ ისიც არის, რომ პარტიის რაიონული კომიტეტები, საბჭოთა და სასოფლო ორგანოები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად თითქმის არაფერს არ ღონობენ მიუხედავად იმისა, რომ ამ რაიონებში გაცილებით უკეთესი პირობებია საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარებისათვის, ვიდრე, ვთქვათ, მახარაძის რაიონში.

მახარაძისა და აბაშის რაიონების გამოცდილება აქ თითქმის არ ინერგება. ეს ძალიან საწყენია, თუნდაც იმიტომ, რომ ამ მეთოდით უკვე დაინტერესდა სკკპ ცენტრალური კომიტეტი და ფიქრობენ განაზოგადონ სხვა რესპუბლიკებში.

უმრავლესობისათვის, ალბათ, ცნობილია, თუ რით გამოიხატება მახარაძისა და აბაშის რაიონების მეთოდი მოსახლეობასთან კოოპერაციის საქმეში, მაგრამ მაინც მინდა მოგახსენოთ, რომ რაიონებში კარგად მოიფიქრეს ხორცისა და რძის წარმოების გადიდების გზები.

ისინი მოსახლეობას გამოუყოფენ დასამუშავებლად საკარმიდამო მიწების ჩამონაჭრებს და სხვა გამოუყენებელ ან ნაკლებად გამოყენებულ მიწებს, აძლევენ სესხს პირუტყვის შესაძენად, ხოლო მეურნეობებმა, რომლებსაც ამის საშუალება აქვთ, პირუტყვიც კი შეუძინეს თავიანთ კოლმეურნეებს და მუშებს.

ამასწინანდელ ზონალურ თათბირებზე, მიმდინარე წლის მაისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XX პლენუმზე, სადაც მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის საკითხები განხილებოდა, რომლის მასალებსაც თქვენ, ალბათ, უკვე გაეცანით, ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მეცხოველეობის და სავრთოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიის ცოდნის აუცილებლობას ყველა რანგის ხელმძღვანელებისათვის. ამ პლენუმზე ჩვენ დავაყენეთ საკითხი, რომ საჭიროა შეიქმნას ხელმძღვანელი კადრების ცოდნის შემოწმების სისტემა, იქვე მივეცით დავალება სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელებს, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში მოაწყონ ხოლმე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების ატესტაცია, სამდვილი გამოცდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

XX პლენუმზე განვაცხადე და მინდა დღესაც გავიმეორო, რომ ჩვენ შეურიგებელი ვართ ყველა წამგლეჯის, მექრთამისა თუ სხვა ანტიპოდების მიმართ. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება. ამავე დროს ხშირად შეუწყნარებელ ლმობიერებას ვიჩენთ უცოდინარი, უყაირათო და არაკომპეტენტური ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც არანაკლებ ზიანს გვაყენებენ, ვიდრე ზემოთ აღნიშნული კატეგორიის ადამიანები. განა შეიძლება ჩვენს რიგებში იყვნენ ისინი, რომელთა უთაური მუშაობის გამო მარტო 1978 წელს რესპუბლიკაში ჩამოიწერა 9.000 ჰექტარი უპერსპექტივო და შეუფერებელ ნიადაგებზე გაშენებული ვენახი, რის შედეგადაც საზოგადოებრივმა მეურნეობებმა 40 მილიონ მანეთზე მეტი იზარალეს?! ანალოგიური წესით ჩამოწერას ელოდება კიდევ 2.500 ჰექტარი ვენახი, რომელთა დიდი ნაწილი ახალგაზრდაა.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე სპეციალური დავალება მივეცით პარტიული კომისიის და სახალხო კონტროლის კომიტეტს მოვძებნათ ვენახებისა და ხეხილის ბაღების გაშენებისა და მოვლის საქმეში დაშვებულ შეცდომებში დამნაშავე პირები და წარმოგდინათ წინადადებები მათი პასუხისმგებლობის შესახებ. სამწუხაროდ, ამის გაკეთება მაშინ არ მოხერხდა, ალბათ, ხანდაზმულობის გამო, მაგრამ ხომ შეიძლება მოიძებნონ წყალტუბოს ზონის ოფშკვითის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები, რომელთა „წყალობით“ 1978 წელს გაშენებულ 95 ჰექტარ ვენახში მეჩხერიანობის ლიკვიდაციისათვის 1979 წელს გამოიგზო 149 ათასი ძირი ვაზი, ხოლო 1980 წელს — 34 ათასი ძირი, რომლითაც შეიძლებოდა 70 ჰექტარი ახალი ვენახის გაშენება და, მიუხედავად ამისა, შემოწმებისას (1980 წლის 10 აპრილს) ამ ფართობზე მეჩხერიანობა კვლავ 55 პროცენტს აღწევდა? ანდა განა ძნელი მოსაძებნია მარნეულის რაიონის ალგეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. მ. ქათამაძე და მთავარი აგრონომი გ. ხეცურიანი, რომელთა უგერგილო მუშაობით მიმდინარე წლის 1 ივნისისათვის 250 ჰექტარი ვენახი შპალერზე აკუნული არ იყო და შიგ ისე მუშაობდა ტრაქტორი, რის შედეგადაც ზიანდებოდა არა მარტო ყვავილობადაწყებული მტევნები, არამედ საერთოდ ვენახიც, რომ ამ მეურნეობაში 2,5 ჰექტარი სამწლიანი მსხმო�aრე ვენახი მიწაზეა გართხმული? სამწუხაროდ, ისინი ერთეულები როდი არიან. ანალოგიურ ფაქტებს ჩვენი შემოწმებლები წააწყნენ თელავის რაიონის ვარდისუბნის კოლმეურნეობაში, სადაც გამგეობის თავმჯდომარედ მუშაობს ამხ. ვ. ქუტიკიაშვილი, რომელიც, ალბათ, დღევანდელ შეკრებასაც ესწრება; თეთრი წყაროს რაიონის ასურეთისა და კოდის საბჭოთა მეურნეობებში და სხვაგან.

როცა ვლაპარაკობთ ხელმძღვანელთა ცოდნაზე, მათს კომპეტენტურობაზე, არ შეიძლება კიდევ ხაზი არ გავუსვათ ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს. ეს არის მიწათმოქმედების კულტურა საერთოდ. ეს იმდენად რთული, მრავალფეროვანი და ამავე დროს აქტუალური პრობლემაა, რომ, ვფიქრობთ, ურიგო არ იქნებოდა, თუ ამ საკითხს საერთო ძალებით საფუძვლიანად შევისწავლიდით, მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებულ პროგრამას შევიმუშავებდით და სპეციალურად ცენტრალური კომიტეტის პლენუმზეც განვიხილავდით მომავალში. ამჯერად მინდა დავჯერდე ზოგიერთ პირად მოსაზრებას, იმის გაზიარებას, რასაც ჩვენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით და ზოგჯერ გულგრილად გვერდს ვუვლით ხოლმე. მოგიყვანთ რამდენიმე მაგალითს: ჩვენ კახეთის რაიონებში საკმაოდ დიდ ფართობებზე გვაქვს ვენახები და კიდევ ვაშენებთ ახალ ვენახებს. როგორც სპეციალისტები გვარწმუნებენ, ვენახის თავები, საპლანტაციო გზები და სხვა ადგილები საშუალოდ 15 პროცენტამდე ფართობს იკავებს, რომელიც ფაქტობრივად გამოუყენებელი რჩება.

აი ამას წინათ აქ იყო ამხანაგი ა. ინაური; რამდენიმე რაიონი მოიარა. როგორც კი ჩამოვიდა პირველი საკითხი, რაც მან დააყენა, სწორედ ფართობების რაციონალური გამოყენების აუცილებლობის საკითხი იყო. ძალზე ცოტა ისეთი ხელმძღვანელი, სერიოზულად რომ ცდილობდეს ამ ფართობების მაქსიმალური გამოყენებას. განა დრო არ არის ხელი მოვკიდოთ ამ საქმეს? ვფიქრობ, უკვე დაგვიანებულიც არის, მაგრამ, თუ რომელიმე რაიონი ამ ინიციატივას გამოიჩენს, ალბათ, ეს კარგი საჩუქარი იქნება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის.

კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა გზისპირებისა და ვენახების მიმდებარე სხვა ფართობებზე. შესანიშნავი ვენახები აქვთ წითელწყაროელებს ტარიბანაში, ისეთი დამუშავებული და მოვლილია, რომ როგორც იტყვიან, ავ თვალს არ ენახება, მაგრამ იქვე გზისპირები ნარ-ეკლითაა დაფარული და, თუ ეს დაბრკოლება არ გაარღვიე, ისე ვენახში ვერათუ ვერ შეხვალ, ვერც კი დაინახავ. ასეთი მდგომარეობა მარტო ტარიბანაში როდია.

ასეთივე მისასვლელები აქვს ბევრგან ხეხილის ბაღებს თუ ჩაის პლანტაციებს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში.

როგორ მომრავლდა ჩვენს მინდვრებში სარეველა მცენარეები: გვიონელა, შხამა ბალახი, ამბროზია და სხვა სარეველები. გასაკვირია, როგორ შეეგუა ყოველივე ამას ჩვენი თვალი. ამ ავადმყოფურ მოვლენას იმდენად შეეგუეთ, რომ აღშფოთებასაც აღარ იწვევს და გარკვეულ პროტესტსაც აღარ გამოვთქვამთ, როცა აი, ასეთი საუკეთესო ფართობები სარეველებით დანაგვიანებულა.

ანდა, ავიღოთ ბუჩქნარებისა და ძეძვისაგან ფართობების გაწმენდის საკითხი. ცუდი მდგომარეობა გვაქვს მტად.

მე აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ თვით დამუშავებულ ფართობებშიც დამაკმაყოფილებლად ვერ ვიყენებთ ტექნიკას, სასუქებს, სარწყავ წყალს და სხვ. ეს ყველა ისეთი საკითხია, რომელთა გადადება არ შეიძლება. ვფიქრობ, საჭირო იქნება სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მონაწილეობით, დაამუშაოს წინადადებები ყველა ამ საკითხზე და წარმოუდგინოს განსახილველად ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობას.

გვიხარია, როცა გამოვიელით, ვთქვათ, საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, სიღნაღის, ზოგიერთ სხვა რაიონებში და ვხედავთ — გზისპირების, მიგდებული და მივარდნილი ფართობების ათვისება დაუწყიათ.

ამაში ვხედავთ ჩვენ არა მარტო ეკონომიკურ ეფექტს, რათა, ვთქვათ, რომ ამ გზით ჩვენ შეგვემატება 10 თუ 15 ჰექტარი ფართობი, არამედ ვხედავთ უფრო მეტს: ფეხს იკიდებს სულ სხვა კულტურა მიწათმოქმედებისა, მიწისა და ვაზის სიყვარულისა.

და, ბოლოს, მინდა კიდევ ერთ საკითხს მივაპყრო თქვენი ყურადღება. თქვენ, ალბათ, გახსოვთ: საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ძირითადი დევიზი იყო ზრუნვა ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის! ახლა ჩვენ ვუფლოვდებით პარტიის XXVI ყრილობას, რომელსაც უნდა ჩავაბაროთ ანგარიში, თუ როგორ განვახორციელეთ ყრილობის დევიზი.

არ დაგიმალავთ, თათბირის წინ ჩვენ ზოგიერთ რაიონში ხელახლა შევამოწმეთ მდგომარეობა და ეს შემთხვევით არ გვიქნია. ამას წინათ დასავლეთ საქართველოს რაიონებში მოგზაურობამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ ბევრი ჩვენი ხელმძღვანელი მუშაკი, რომელთა მუშაობაზე საერთოდ არც თუ ცუდი წარმოდგენა გვაქვს, საშუხაროდ, ცუდად ასრულებს XXV ყრილობის დირექტივებს. ბევრი ხელმძღვანელი ძირითად დროს იმ საკითხებზე მუშაობას ანდომებს, რომელთა გამო უშუალოდ ზემდგომმა ორგანოებმა შეიძლება დაურეკონ, ან ანგარიში მოსთხოვონ — ეს არის საწარმოო გეგმების შესრულება, მოსავლიანობა, პროდუქტიულობა და სხვ. ბევრმა რაიკომის მდივანმა ყველა ეს მაჩვენებელი შესანიშნავად იცის, მაგრამ, თუ შეეკითხებით, რა მდგომარეობაა საავადმყოფოში, როგორ მუშაობს მუშათა სასადილო, სასოფლო კლუბი, ბიბლიოთეკა თუ სხვა დაწესებულება, შეიძლება გოიცეთ შემოგხედოთ, თითქოს ეს მას არ ეხებოდეს. ასეთ ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ, რომ სახალხო მეურნეობის დარგების ის მიღწევები, რომლებთაც ისინი ძალიან ხშირად ამაყობენ, მოპოვებულია ჩვენი მშრომელების დაუღალავი გარჯის მეოხებით. ეს მათი მადლიანი შრომის შედეგია, რომ რესპუბლიკამ 4 წელიწადში გეგმის გადამეტებით 400 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სოფლის მეურნეობის პროდუქცია მიჰყიდა სახელმწიფოს, რომ საქართველომ 4 წელიწადში შეასრულა ციტრუსების დამზადების ხუთწლიანი გეგმა, ხოლო ჩაის ხუთწლიანი გეგმის შესრულება ამ დღეებში ვუპატაკეთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. და სხვა მრავალი.

კაცს გული გეტკინება, როცა ხედავ, გულგრილობას, უდარდელობას ასეთი ადამიანების მიმართ. ამის შესახებ საკმაოდ მწარედ ველაპარაკეთ დასავლეთ საქართველოში ჩვენს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო აქტივს. მინდა დღეს თქვენც გაგიზიაროთ ჩემი გულისტკივილი და მოვიყვანო სულ რამდენიმე მაგალითი. ამ დღეებში ჩვენი მუშაკები დაინტერესდნენ სიღნაღის რაიონულ საავადმყოფოში არსებული მდგომარეობით, რომელიც სულ ორიოდე წლის წინათ გადაეცა საექსპლუატაციოდ და აი, რა სურათს წააწყდნენ: საავადმყოფოში თითქმის ყველა ფანჯარა ჩამსხვრეულია, შიგნით უამრავი ბუზია, ანტისანიტარია სუფევს. შემოწმების პერიოდში ავადმყოფებს დილის თორმეტის ნახევარზე ურიგდებოდათ პური, ხოლო კარაქი და ჩაი ორი საათით ადრე მიუცია უპურობ. სამზარეულოს შემოწმების დროს გამოირკვა, რომ საწყობიდან სურსათ-სანოვაგე იწერებოდა 250 ავადმყოფისათვის, მაშინ როცა იქ მხოლოდ 221 ავადმყოფი წევს.

ღმერთი არ უწყენდა ამხ. გ. ლეკავასაც, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს, შეეხედა სიღნაღის საავადმყოფოში.

ზემოთ უკვე მოგახსენეთ, მარნეულის რაიონის ალგეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი მ. ქათამაძე ვენახებს ცუდად უვლის-მეთქი. სამწუხაროდ, იგი თურმე არც ადამიანებზე ზრუნვით იწუხებს თავს. 1 ივნისს, როცა მეურნეობას ამოწმებდნენ, მუშათა სასადილოში არ გაიჩნდათ არც ერთი სახეობის პროდუქტი, გარდა ჩაისა. როგორც მუშებმა განუცხადეს შემმოწმებელს, უკანასკნელი 15 დღის განმავლობაში აქ ცხელი კერძი საერთოდ არ დაუმზადებიათ და ასეთ მდგომარეობას თურმე სისტემატური ხასიათი აქვს. შემოწმების დროს სამზარეულო საერთოდ დაკეტილი აღმოჩნდა. დაკეტილი იყო ასევე შერეული საქონლის მაღაზიაც, თუმცა დასვენების დღე არ ყოფილა.

აი კიდევ უსულგულობის ერთი ფაქტი. ბოლნისის რაიონის სოფელ რაჭისუბნის კლუბი მოთავსებულია ყოფილ საქათმეში, სადაც სულ 10 საძალი, დანარჩენი მაყურებლები კინოფილმს ფეხზემდგომელა უყურებენ. წვიმიან ამინდში ჭერიდან წყალი ჩამოდის.

მე არ ვაყენებ საკითხს, რომ ყველა სოფელში ჩვენ კეთილმოწყობილი კლუბი გვექნეს, ეს ძალიან ძნელი ამოცანაა, ძალიან რთული ამოცანაა, მაგრამ თუ სულ ცოტა მონდომებას მაინც გამოვიჩენთ, იგივე შენობები, რომლებიც ჩვენ გვაქვს, შეიძლება გაცილებით უკეთესად მოეწყოს, ისე, რომ ადამიანს შიგ შეესვლებოდეს. ასეთი ფაქტების ჩამოთვლა ბევრი შეიძლება.

ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის საავადმყოფოს არც ერთ პალატაში და დერეფანში არ არის განათება, შენობაში არ მოდის წყალი, სუფევს საშინელი ანტისანიტარია, ფანჯრები ჩამსხვრეულია, ჩამოფარებული არ არის ფარდები და ავადმყოფებს ბუზები მოსვენებას არ აძლევს, საავადმყოფო საერთოდ არ იღებს ბოსტნეულს, ხოლო უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში ხორცის პროდუქტებსაც.

ამავე სოფლის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი ხშირად დაკეტილია, შენობაში ჩასმული არ არის მინები: სასურსათო მაღაზიები ენით აუწერელი უსუფთაობაა; კავშირგაბმულობის განყოფილებაში დამონტაჟებული 150-ნომრიანი ახალი სატელეფონო სადგური უმოქმედოდ არის და მას ჭერიდან ჩამოსული წყალი აზიანებს.

აი ასეთი სადგურის დასამონტაჟებლად, ალბათ, ამხ. ზ. პატარიძესთან რომ მოხვიდეთ, ყოველთვის ვერ დაგეხმარებათ. ეს რთული ამბავია. იმისათვის, რომ ეს სადგური მიეღოთ, ალბათ, მთავრობაში, საგანგო კომისიაში არა ერთხელ და ორჯერ მივიდნენ სათანადო თხოვნით რაიონის ხელმძღვანელები და ამ სოფლის თავკაცებიც. ბოლოს საკითხი დადებითად გადაწყდა. დავაყენეთ და დავამონტაჟეთ სატელეფონო სადგური, მაგრამ ვერ ვუვლეთ. ალბათ ერთი წლის შემდეგ ყველაფერი თავიდან გასაკეთებელი იქნება.

ყოველივე ამას კი უშფოთველად ეგუება სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, დიდი გამოცდილების მქონე მუშაკი ამხ. ზ. თ. რევაზიშვილი, რომლის სამუშაო ოთახიდან ყველა ხსენებული ორგანიზაცია ორიოდე ფეხის ნაბიჯზეა განლაგებული. თუმცა გასაკვირი რა უნდა იყოს, როცა თვით სასოფლო საბჭოს შენობაში შესვლისას არ იგრძნობა, რომ აქ მოთავსებულია სახელმწიფო დაწესებულება; ვერავითარ საგიტაციო და თვალსაჩინო მასალას აქ ვერ შეხვდებით, მოუვლელია ტერიტორია, დაწესებულებაში არასამუშაო განწყობილება სუფევს.

გულისწყრომას იწვევს კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ა. მ. სეფაშვილის გულგრილი დამოკიდებულება კოლექტივის წევრების საყოფაცხოვრებო პირობებისადმი — ამაზე ისიც მეტყველებს, რომ კოლმეურნეობას უკანასკნელ პერიოდში არაფერი გაუკეთებია სოფლის მომსახურების სფეროში არსებული მძიმე მდგომარეობის გამოსასწორებლად.

საყვედური ეთქმის რაიონის აღმასკომს, მის სამსახურებს, სახალხო კონტროლის კომიტეტს, რომლებმაც უყურადღებოდ დატოვეს სოფელი, არ ინტერესდებიან 1500 კომლის სოციალური განვითარების საკითხებით.

ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურისაკენ მიმავალი გზატკეცილის ორივე მხარეს უწესრიგოდ ყრია საგზაო-სარემონტო და საშენი მასალა, მილები, ბოძები. სოფელს აკლია წყალი, მაგრამ მის ყაირათიანად ხარჯვაზე არავინ ფიქრობს. გზის პირას, მრავალ ადგილზე გამოყენებული მილებიდან უხვად იღვრება სასმელი წყალი, ონკანების დაყენებით კი თავს არავინ იწუხებს. უქმად დაღვრილი წყალი გროვდება საწრეტ არხებში, ქმნის ანტისანიტარიულ მდგომარეობას, ტბორავს დაბალ ადგილებს და აჩენს ჭაობებს. თვით ქისტაურის სასოფლო საბჭოს წინაც დაგუბებულია ასეთი ჭაობი, რომელშიც ბაყაყები ბინადრობენ. საკუთრივ საბჭოს შენობა მოუვლელია, ჭერიდან წყალი ჩამოდის, საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. გ. დ. მაილაშვილს, როგორც ჩანს, მაინცდამაინც არ აინტერესებს მუშაობა, რადგან თავის კაბინეტში ნათურაც კი არ უკიდია, არც საბჭოს შენობაში განლაგებული სოფლის სატელეფონო კვანძის უმოქმედობა აწუხებს. ამის გამო კი შეუძლებელი ხდება არა მარტო სოფლის ტელეფონებით სარგებლობა, არამედ რაიონის ცენტრთან დაკავშირებაც, რომელიც მხოლოდ შვიდი კილომეტრით არის დაშორებული სოფელს.

ქისტაურში ფაქტობრივად მოშლილია მშრომელთა საყოფაცხოვრებო, სავაჭრო და სამედიცინო მომსახურება. სოფლის საბჭოთა მეურნეობის ახლად აშენებულ ბაგა-ბაღში გაჭედილია კანალიზაცია და შენობის წინ ფეკალური წყლის გუბე დგას. მეურნეობის დირექტორი ამხ. ე. ი. ყიზილაშვილი წლის დამდეგიდან საერთოდ არ ყოფილა აქ. საექიმო პუნქტში სამუშაო დროს ვერ ნახავთ ექიმს, აფთიაქის გამგეს. საპარიკმახერო მუშობს გაურკვეველი გრაფიკით, მოუწესრიგებელია სავაჭრო ობიექტებისა და აბანოს მუშაობაც.

დამეთანხმებით, რომ ასეთი მდგომარეობა მ